დემოკრატიული სკოლა ყველასთვის

supported by Visegrad Fund

Civitas GEORGICA

LEARN AND PRACTICE ACTIVE CITIZENSHIP!

ისწავლე და გამოცადე აქტიური მოქალაქეობა!

სკოლებისა და თემების დაკავშირება

SOS EDUKATOR

emnet

AGORA CENTRAL EUROPE

The project is co-financed by the Governments of Czechia, Hungary, Poland and Slovakia through Visegrad Grants from International Visegrad Fund. The mission of the fund is to advance ideas for sustainable regional cooperation in Central Europe.

წინასიტყვაობა

წარმოგიდგენთ პუბლიკაციას, რომელიც მომზადდა პროექტის ,, ისწავლე და გამოცადე აქტიური მოქალაქეობა -სკოლებისა და თემების დაკავშირება '' ფარგლებში. პროექტი 2019 წელს, საქართველოს 8 საჯარო სკოლაში განხორციელდა და სხვადსხვა საქმიანობის ფარგლებში ოცდაათზე მეტი მასწავლებელი და 300-მდე მოსწავლე მოიცვა.
პროექტმა შეძლო ორი მთავარი ამოცანის მიღწევა, საჯარო სკოლების მასწავლებელთა კომპეტენციების ამაღლება მოსწავლეთა სასკოლო და სკოლის გარე ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებისა და მათი დემოკრატიული, თანასწორი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ასევე უნიკალური შესაძლებლობა მისცა სკოლის მოსწავლეებს გამოეცადათ სამოქალაქო მონაწილეობის ინოვაციური ფორმები, სასკოლო და სათემო პროექტების განხორციელებით, რაც მათი როგორც საზოგადოების აქტიურ წევრებად ფორმირებას სკოლის პერიოდშივე შეუწყობს ხელს.
პუბლიკაცია სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება: პირველ ნაწილში აღწერილია ის ღირებულებები, პრინციპები და კომპეტენციები, რომლის უზრუნველყოფას განათლება უნდა ახდენდეს თანამედროვე, დემოკრატიულ საზოგადოებაში. ბროშურაში მიმოხილულია ევროპის საბჭოს მიდგომა ე.წ მთლიანობითი სასკოლო მიდგომა სასკოლო განათლების პერსონალს და ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს დემოკრატიული კომპეტენციების დანრეგვისთვის პრაქტიკულ მომზადებას სთავაზობს.

ბროშურის მეორე ნაწილი მკითხველს დემოკრატიული, პასუხისმგებლიანი და დამოუკიდებელი მოქალაქის აღზრდის საერთაშორისოდ აღიარებულ მეთოდებს წარუდგენს, ასევე გააცნობს აქტიური მოქალაქეობის მაგალითებს უნგრეთიდან და აღწერს დემოკრატიული თანამონაწილეობის ტენდენციებს და ახალგაზრდობის შეხედულებებს სამოქალაქო მონაწილეობაზე ვიშეგრადის ოთხეულის წევრ ქვეყნებში. მესამე თავი კი მკითხველი ჩეხეთის რესპუბლიკაში ახალგაზრდების მონაწილების ფორმების პრაქტიკულ მაგალითებს გაეცნობა. პუბლიკაციის ბოლოს შეგიძლიათ გაეცნოთ პროექტის ფარგლებში განხორციელებული სასკოლო და სათემო პროექტებს, რომელიც საქართველოს 8 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა სკოლის და თემის ჩართულობით განახორციელეს.

იმედი გვაქვს, კრებულში შემავალი მასალები საინტერესო და სასარგებლო იქნება, როგორც სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის, ასევე, ამ საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის - ტრენერებისთვის, ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ადამიანებისა და სტუდენტებისათვის.

პუბლიკაცია მომზადებულია პროექტის ,,ისწავლე და გამოცადე აქტიური მოქალაქეობა -სკოლებისა და თემების დაკავშირება '' ფარგლებში.

პროექტი დაფინანსებულია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის მიერ.

მოცემული პუბლიკაცია გამოხატავს მხოლოდ ავტორების შეხედულებებს, რაც შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის ოფიციალურ პოზიციას.

The opinions expressed in this book are those of individual authors and do not necessarily represent the views of the authors affilation, or International Visegrad fund

ავტორები: მაჟენა რაფალსკა, ჟოფია მიკლოსი, პავლა ბედნარიკოვა

რედაქტორი: ქეთევან აბაზაშვილი

თავი I

მაჟენა რაფალსკა, ორგანიზაცია "ედუკატორი'' პოლონეთი
Marzena Rafalska, ,,Edukator'' , Poland, marzenaodn1@wp.pl

ზოგადსასკოლო მიდგომა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა სწავლების პროცესში

1. შესავალი

განათლება მოსწავლის ყოველმხრივ განვითარებას ემსახურება, როდესაც იგი ღირებულებების ბაზაზე დაფუძნებული ცოდნისა და უნარების ინტეგრაციის პროცესად იქცევა. ღირებულებები განათლების საფუძველია. მოსწავლეებში მათი ჩამოყალიბება მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ამ ღირებულებებით სწავლებისა და აღზრდის მთელი პროცესია გამსჭვალული.

განათლება დემოკრატიისათვის და განათლება ადამიანის უფლებების შესახებ კონცენტრირდება ევროსაბჭოს იმ ძირითადი მიზნებისა და ღირებულებების გარშემო რომლებსაც წარმოადგენს: **ადამიანის უფლებების დაცვა,** საპარლამენტო **დემოკრატიის** და **კანონის უზენაესობის** პოპულარიზაცია და მისი დაცვა და აგრეთვე ევროპული იდენტობის პოპულარიზაცია რომელიც საერთო ღირებულებებს ეყრდნობა.

EDC/HRE-ს მიზნებია: „მოსწავლეებისათვის ცოდნისა და უნარების მიცემა, მათში ისეთი დამოკიდებულებებისა და ქცევების ჩამოყალიბება რომლებიც მოსწავლეებს საკუთარი მოვალეობებისა და უფლებების რეალიზებისა და დაცვის საშუალებას მისცემენ, მოსწავლეებში მრავალფეროვნებისადმი პატივისცემის ჩამოყალიბება, მათი მოტივირება იმ მიზნით რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში აქტიურად იღვაწონ, (…) ცალკეული პიროვნებების როლის გააქტიურება საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა კულტურის შენებისა და დაცვის საქმეში“.[1]

სკოლა დემოკრატიული ღირებულებების შეცნობისა და მათი პრაქტიკაში გამოცდის გარემოს უნდა წარმოადგენდეს. მხოლოდ ასე გახდება ეს ღირებულებები მოსწავლეებისათვის ცოცხალი და ავთენტური. სკოლის მოვალეობა არა მხოლოდ სწავლებაა, (ინფორმაციის მიწოდება) არამედ უპირველეს ყოვლისა, პიროვნების ღირებულებებით აღზრდა. ნებისმიერი საგნის მასწავლებელი აღმზრდელიც უნდა იყოს, რომელიც მოსწავლეს მიმართულებას აჩვენებს, აწვდის ისეთ იმპულსებს, რომლებიც მას უადვილებენ ღირებულებების სწორად გაგებას და საშუალებას აძლევენ, რომ არჩევანი ამ ღირებულებებზე დაყრდნობით გააკეთოს. სწავლების ნებისმიერი, თვით ყველაზე სრულყოფილი მეთოდიც კი არასაკმარისი იქნება თუკი მასწავლებლები თვითონ არ იქნებიან მაგალითი და ნიმუში მოსწავლეებისათვის.

[1] „ევროსაბჭოს ქარტია სამოქალაქო განათლებისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული განათლების შესახებ“, https://rm.coe.int/16803034e3

2. ზოგადსასკოლო მიდგომა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა სწავლების პროცესში

ზემოხსენებული მიზნებისა და ღირებულებების ყველაზე ეფექტურად დანერგვა შეიძლება ეგრეთ წოდებული ზოგადსასკოლო მიდგომის საშუალებით (whole-school approach).

დემოკრატიული სამოქალაქო კომპეტენციების განვითარებისადმი ზოგადსასკოლო მიდგომა საგანმანათლებლო პროცესის ყველა მონაწილის საერთო ძალისხმევით ხორციელდება. ამ ძალისხმევის მიზანია, დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება და ადამიანის უფლებების პატივისცემა სკოლის ცხოვრების ყველა სფეროში.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სკოლებში დემოკრატიული კომპეტენციების განვითარება ყველაზე ეფექტური მაშინაა, როცა ის არა მხოლოდ ცალკეული საგნების ამოცანას წარმოადგენს, არამედ სკოლის ცხოვრების ყველა ასპექტს მოიცავს. ამ დროს, მთელი საგანმანათლებლო პროცესი ეყრდნობა ადამიანის უფლებებს, დემოკრატიულ ჩართულობას, თანასწორობას და პარტნიორობას. სკოლაში დემოკრატიის სწავლა ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას მოითხოვს - მოსწავლეების, მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრაციის, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების სხვა წევრების. ეს ჩართულობა სკოლის ცხოვრების სხვადასხვა სფეროებს უნდა მოიცავდეს.

სამოქალაქო განათლება, ადამიანის უფლებათა შესწავლა სკოლასა და კლასებში მინდინარეობს.

სკოლა და კლასები პირველი კოლექტივებია, სადაც მოსწავლეები, როგორც ამ კოლექტივების აქტიური წევრები, ნ პრინციპებსა და ღირებულებებს სწავლობე და დემოკრატიულ გამოცდილებას ეცნობიან. სასკოლო გარემო ის საზოგადოებაა, სადაც ბავშვები სწავლობენ თუ როგორ უნდა გახდნენ აქტიური და პასუხისმგებლიანი მოქალაქეები ყოველდღიური სიტუაციებისა და გამოცდილების საფუძველზე.

სკოლა იმ ადამიანთა საზოგადოებაა, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთკავშირში არიან. მათ ერთმანეთთან აკავშირებთ პირადი და საქმიანი კონტაქტები, აქვთ საერთო მიზანი და ამ მიზნისაკენ სავალ გზაზე ისინი სხვადასხვა როლებს ასრულებენ. სკოლა სისტემაა, რომელშიც მისი თითოეული ელემენტი სხვა დანარჩენ ელემენტებზე ახდენს გავლენას. სასკოლო სისტემა არა მხოლოდ მოსწავლეები და მასწავლებლებია, არამედ მშობლებიც, სკოლის ხელმძღვანელობაც

და დამხმარე პერსონალიც. ამ ჯგუფთაგან ყველა ერთად ქმნის სკოლის საზოგადოებას, ხოლო როლების შესრულების ხარისხი საბოლოოდ სკოლის სისტემის ფუნქციონირების წარმატებულობის დონით ფასდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიზნების მიღწევის დონე (მათ შორის იმ მიზნებისა რომლებიც აქტიური და პასუხისმგებლიანი მოქალაქის ფორმირებას ემსახურება) დამოკიდებულია იმ ადამიანთა მიერ საკუთარი როლების გაცნობიერებაზე, რომლებიც სპეციალისტებს წარმოადგენენ და რომელთა ფუნქციებშიც შედის სასკოლო ურთიერთობების ჩამოყალიბება. ამ სისტემაში საკვანძო როლს ასრულებენ სკოლის დირექტორი და მასწავლებლები. ისინი წარმოადგენენ გუნდს, რომელმაც უნდა განსაზღვროს საერთო მიზნები, პრიორიტეტული ღირებულებები და მთავარი საგანმანათლებლო მიდგომები. მასწავლებელთა გუნდმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება თუ რა ფორმით განახორციელებს სკოლაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა სწავლების პროცესს - იქნება ეს ყველა საგნის ინტეგრაცია თუ კორელაცია ზოგიერთ საგანს შორის. გუნდმა აგრეთვე უნდა გადაწყვიტოს თუ რა აღმზრდელობითი მიზნები იქნება ყველასათვის პრიორიტეტული, მიდგომების ფორმირების საქმეში. უზომოდ მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო გარემოს გამომუშავებული ჰქონდეს ერთმნიშვნელოვანი გზავნილი, რომელიც დემოკრატიულ ღირებულებებზე იქნება დაფუძნებული. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება თუკი სკოლაში მომუშავე ყველა ზრდასრული ადამიანი გაცნობიერებულად შეუდგება სკოლის დემოკრატიული კულტურის შენებას.

სკოლის კულტურა წარმოადგენს „მიდგომების, ღირებულებების, ნორმების, რწმენების, ყოველდღიური პრაქტიკის, პრინციპების, სწავლების მეთოდებისა და საორგანიზაციო მოქმედებების სისტემას“ [2] . აქედან გამომდინარე ,იგი არსებით გავლენას ახდენს იმაზე თუ როგორ ფუნქციონირებს მთელი სასკოლო საზოგადოება. სამოქალაქო განათლების წარმატებული ფუნქციონირება სკოლის კულტურის არსებობას საჭიროებს. ამ კულტურაში ფასდება და მოტივირდება ჩართულობა, რომელიც დემოკრატიულ პრინციპებს ეფუძნება. ასეთ ატმოსფეროში მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, რომ მონაწილეობა მიიღონ იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც მათვე ეხებათ.

ზოგადსასკოლო მიდგომაში სამოქალაქო განათლება სცდება მხოლოდ კლასში ჩატარებული „სამოქალაქო განათლების“ გაკვეთილების საზღვრებს. სამოქალაქო

[2] “სამოქალაქო განათლება ევროპაში“, Eurydice, 2005

განათლება უნდა მოიცავდეს სხვადასხვა ჯგუფებში, მეცადინეობებში, სკოლის საზოგადოებრივ ორგანოებში, გუნდებსა და კლუბებში მონაწილეობას. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ თავიანთი წარმომადგენლები აირჩიონ. გამოცდილება და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა მათ საშუალებას მისცემთ გაიგონ თუ რას ეფუძნება დემოკრატიული პროცესები. მოსწავლეები გაიგებენ, რომ წესები ყველასათვის ერთნაირი უნდა იყოს, რომ არჩევნებს იგებს ის ვინც ხმათა უმრავლესობა მიიღო, რომ ის ვინც ახლა წააგო - შემდეგ არჩევნებში მოგების შანსს ინარჩუნებს. დემოკრატიული განათლების მნიშვნელოვანი ელემენტია სხვების მოსმენის სწავლა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი სხვანაირად აზროვნებენ. კიდევ ერთი მნიშნელოვანი უნარია დისკუსიებში მონაწილეობა, რაც პრინციპში დემოკრატიული პროცესის დედააზრს წარმოადგენს. დისკუსია ის ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია საკუთარი აზრის გამოხატვა, რომლითაც სა შუალება აქვს შეეცადოს სხვების დარწმუნებას, შეათანხმოს საერთო პრობლემების გადაწყვეტის გზა.

მასწავლებლებისა და მოსწავლეების მოქმედებებს მხარი უნდა დაუჭირონ მშობლებმა. აღნიშნული მხარდაჭერა სხვადასხვა ფორმით შეიძლება განხორციელდეს: ეს შეიძლება იყოს სკოლის ერთობლივი მართვა ან მოსწავლეების სხვადასხვა ინიციატივებში და პროექტებში მონაწილეობა.

სკოლა ადგილობრივ თემში ფუნქციონირებს და იგი მოსწავლეებს ამ თემში მომავალი ცხოვრებისათვის ამზადებს. სკოლის დირექტორი და მასწავლებლები მუდმივად უნდა ეძებდნენ იმ პირებსა და ინსტიტუციებს, რომლებსაც ძალა შესწევთ, რომ მხარი დაუჭირონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა სწავლების პროცესის ფარგლებში განხორციელებულ მიზნებს. ამ თვალსაზრისით, სკოლას შეუძლია ითანამშრომლოს ადგილობრივ პარტნიორებთან (თვითმმართველობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, მეწარმეები). სკოლას შეუძლია ისარგებლოს ადგილობრივი რესურსით, თუმცა ამავე დროს იგი გახსნილი უნდა იყოს ადგილობრივ მცხოვრებთა ჯგუფების და ადგილობრივ თემში მოღვაწე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივების მიმართ.

თანამშრომლობის ასეთი მოდელი მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, რომ საკუთარ თავში ადგილობრივი თემისადმი კუთვნილების შეგრძნება გაიღვივონ და მისი საქმეებით დაინტერესდნენ. დემოკრატიული სკოლა დემოკრატიული საზოგადოების მოდელად უნდა იქცეს.

იმ სკოლებისათვის, რომლებსაც სურთ, უფრო დემოკრატიულები გახდნენ -

შესაძლოა განვსაზღვროთ ცვლილებების სამი ძირითადი შესაძლო მიმართულება / სფერო: **1) დემოკრატიული გარემოს შექმნა და დემოკრატიული მმართველობა სკოლაში 2) დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სწავლება საგანმანათლებლო პროცესში, 3)** პარტნიორული ურთიერთობების აგება ადგილობრივ თემთან და მშობლებთან.

ამ სამიდან თითოეულ სფეროში შეიძლება განვსაზღვროთ სტანდარტები, რომლებიც გვიჩვენებენ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა კულტურას სკოლაში. ეს სტანდარტები სახელმძღვანელო საშუალებად შეიძლება გამოგვადგეს სკოლის დემოკრატიული მიმართულებით განვითარების გზაზე.

1. დემოკრატიული გარემო და დემოკრატიული მმართველობა.

- სკოლა იმართება დემოკრატიულად, სკოლის საზოგადოების შემადგენელი ყველა სუბიექტის თანამონაწილეობით.
- სასკოლო ურთიერთობები ასახავენ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის პრინციპებს.
- კონფლიქტები მშვიდობიანად წყდება, ყველა მხარის მონაწილეობით.

2. დემოკრატია და ადამიანის უფლებები საგანმანათლებლო პროცესში.

- სკოლას სასწავლო პროგრამაში შეაქვს საგანმანათლებლო მიდგომები, რომლებიც მოიცავს დემოკრატიულ, სამოქალაქო საზოგადოებასთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს (EDC/HRE).
- კლასგარეშე აქტივობებისა და რეალიზებული პროექტების მიზანია დემოკრატიის პოპულარიზაცია და ადამიანის უფლებათა პატივისცემა.
- სკოლა იყენებს სწავლების დემოკრატიულ მეთოდებს.

3. პარტნიორობა მშობლებთან და ადგილობრივ თემთან.

- სკოლის წარმომადგენლები ადგილობრივ დონეზე მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
- საფუძველი ჩაეყარა პარტნიორობას ადგილობრივ ადმინისტრაციასთან და ადგილობრივი მოსახლეობის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

ყველა ეს სფერო ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ერთ სფეროში მომხდარი ცვლილებები აუცილებლად იწვევს ცვლილებებს სხვა სფეროებშიც. მაგალითად: გადაწყვეტილების მიღების პროცესის დემოკრატიზაცია აუმჯობესებს ურთიერთობას მშობლებთან და ადგილობრივ საზოგადოებასთან, ხოლო ადამიანის უფლებათა სწავლება ცალკეულ საგნებში, საგანმანათლებლო პროცესის ყველა მონაწილეს ეხმარება მათი უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციის საქმეში.

დემოკრატიულმა სკოლამ იცის, როგორ ჩართოს პროცესში საზოგადოებრივი პარტნიორები და იგი ამას წარმატებით აკეთებს. იმ მოსწავლეებს კი, რომლებსაც ესმით თუ რა არის დემოკრატია და ამასთანავე აქვთ თვითორგანიზაციის უნარი, რეალურად შეუძლიათ ადგილობრივი თემის ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება.

3. პრაქტიკული რეკომენდაციები

<u>დემოკრატიული მმართველობა სკოლაში</u>

პასუხისმგებლიანი მოქალაქის პოზიციის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სკოლის დემოკრატიული გარემო და დემოკრატიული ჩართულობის პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობა. ეს რომ განხორციელდეს, საჭიროა ინიციატივებისა და საკუთარი აზრის დაფიქსირების წახალისება, კრიტიკული დამოკიდებულება რეალობისადმი და მრავალფეროვნების პატივისცემა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

1. ურთიერთობები მოსწავლეებს, მასწავლებლებს, ადმინისტრაციას და მშობლებს შორის უნდა ჩამოყალიბდეს ადამიანის უფლებათა პატივისცემაზე დაყრდნობით;
2. ყველა შიდასასკოლო პროცესი უნდა აიგოს დიალოგსა და ურთიერთპატივისცემაზე დაყრდნობით;
3. უზრუნველყოფილ უნდა იქნას გამჭვირვალე კომუნიკაცია, რათა ღიად იქნას განხილული არსებული პრობლემები და გამოწვევები;
4. საერთო ღირებულებებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს საერთო ხედვა და სკოლის განვითარების ერთობლივი გეგმა;
5. უნდა მოხდეს სკოლის მართვიდან ერთობლივ მართვაზე გადასვლა. ამ პროცესში მონაწილეობას უნდა იღებდეს სკოლის ცხოვრებაში მონაწილე ყველა სუბიექტი, რათა მოხდეს სკოლის წარმატებული თვითმმართველობის ჩამოყალიბება;
6. სკოლის თვითმმართველობის ორგანოების ჩამოყალიბების პროცესში გამოყენებულ უნდა იქნას დემოკრატიული არჩევნების პრინციპი;
7. მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული სკოლის ორგანიზაციული ავტონომიის უფლება;
8. უნდა შეიქმნას სიტყვის თავისუფლების რეალიზების სხვადასხვა შესაძლებლობები, სკოლაში უნდა არსებობდეს საკუთარი აზრის დაფიქსირების

საშუალება (სკოლის ინტერნეტ-გვერდის, სოციალური ქსელების, სხვა სასკოლო მედია-რესურსების მეშვეობით და ა.შ.);

9. უნდა შეიქმნას „ღია სკოლა“ რომელიც მზად იქნება, რომ თავისი საგანმანათლებლო პოტენციალი მშობლებთან და ადგილობრივ თემთან თანამშრომლობით ააგოს;
10. აღიარებულ უნდა იქნას „ბავშვზე კონცენტრაციის პრინციპი“ ან იდეა - „სკოლა ბავშვებისათვის“ რომელთა თანახმადაც ბავშვის უფლებები და საჭიროებები განსაზღვრავენ სკოლის მუშაობის მიზნებს;
11. უნდა ვაჩვენოთ პირადი მაგალითი: მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია, მშობლები და მოსწავლეები უნდა მოქმედებდნენ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის პრინციპების თანახმად;
12. დაცულ უნდა იქნას პრინციპი, რომლის თანახმადაც ყველა ხმა თანაბარია: მასწავლებლის ხმა = მოსწავლის ხმა = მშობლის ხმა;
13. უნდა გვახსოვდეს, რომ დირექტორი უპირველეს ყოვლისა მენეჯერია, რომელიც სამუშაო სივრცეს და შრომის პირობებს უზრუნველყოფს მასწავლებლებისათვის;
14. მოსწავლეებში უნდა მოვახდინოთ ინიციატივების მოტივირება და შევუქმნათ მათ ხელმისაწვდომი და უსაფრთხო სივრცე ამ ინიციატივების რეალიზაციისათვის;
15. უნდა გავეცნოთ სხვათა კარგ პრაქტიკას და აგრეთვე გავუზიაროთ მათ ჩვენი „ნოუ-ჰაუ“ სასკოლო ცხოვრების დემოკრატიზაციის სფეროში.

დემოკრატიული საგანმანათლებლო პროცესი

საგანმანათლებლო პროცესში სამოქალაქო კომპეტენციების, როგორც საკვანძო ელემენტის განვითარება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა სკოლის მთელი პერსონალის ძალისხმევა გაერთიანებულია, როცა ერთობლივად ხდება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და გამოიყენება ინტერდისციპლინარული მიდგომა. მთელი ის ცოდნა, პირადი და სოციალური უნარები, მიდგომები და ღირებულებები რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემენ, რომ მომავალში კონსტრუქციულად ითანამშრომლონ სხვებთან და დემოკრატიულ საზოგადოებაში წარმატებით მოახდინონ თვითრეალიზება - თითოეულ კონკრეტულ გაკვეთილზე და აგრეთვე კლასგარეშე ჩატარებულ აქტივობებში ყალიბდება.

ამ მიზნით სკოლებმა უნდა:

1. გამოიყენონ ინტერდისციპლინარული მიდგომა სამოქალაქო კომპეტენციების ფორმირების პროცესში;
2. პრაქტიკაში გამოიყენონ სწავლებისა და სწავლის აქტიური და ინტერაქტიული მეთოდები, რომელთა საშუალებითაც მოხდება სამოქალაქო კომპეტენციების განვითარების პოპულარიზაცია;
3. პოპულარიზაცია გაუწიონ საგანმანათლებლო პროცესში პარტნიორობის პრინციპის დანერგვას;
4. საგანმანათლებლო პროცესი ააგონ „თანაბარი = თანაბარს“ პრინციპის საფუძველზე;
5. შექმნან კონსტრუქციული დიალოგის შესაძლებლობები, რათა გათვალისწინებულ იქნას მოსწავლეების აზრი საგანმანათლებლო პროცესის ფორმისა და მიმდინარეობის შესახებ;
6. შექმნან ისეთი პირობები, რომ კლასის ყველა მოსწავლემ საგანმანათლებლო პროცესში ეფექტურად მიიღოს მონაწილეობა. პროცესში ჩართულნი უნდა იყვნენ არა მარტო ყველაზე წარმატებული მოსწავლეები არამედ ყველა მათგანი. გათვალისწინებულ უნდა იქნას ყველა მოსწავლის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებები;
7. პოპულარიზაცია უნდა გაუწიონ სამოქალაქო კომპეტენციების ფორმირებას პრაქტიკული მოქმედებებით, განსაკუთრებით საგანმანათლებლო პროექტების რეალიზებისა და პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების გზით;
8. ჩართონ დემოკრატიული საზოგადოებასთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საგანმანათლებლო ელემენტები სხვადასხვა საგნების სასწავლო პროგრამაში, სხვადასხვა საგანმანათლებლო დონეებზე (სკოლამდელი, დაწყებითი და საშუალო საგანმანათლებლო დონეები);
9. ჩამოაყალიბონ სამოქალაქო განათლებისა და ადამიანის უფლებათა ფაკულტატიური კურსები;
10. დანიშნონ სკოლის კოორდინატორი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა სწავლების საკითხებში რათა სკოლაში განხორციელდეს დემოკრატიის კულტურასთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სამუშაოების სისტემატიზაცია;
11. ჩაატარონ ტრენინგები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა სწავლების სფეროში მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლებისა და ადგილობრივი თემის წარმომადგენელებისათვის;

თანამშრომლობა სკოლასა და ადგილობრივ თემს შორის

სამოქალაქო კომპეტენციების ფორმირება სკოლის კედლებით არ უნდა შემოიფარგლოს. სკოლამ უნდა გამოიყენოს ის საგანმანათლებლო პოტენციალი, რომელიც საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ადგილობრივ თვითმმართველობებთან ურთიერთობას, სოციალურ პროექტებში მონაწილეობას, მედიას, ბიზნესს და სხვა სუბიექტებსა და სფეროებს გააჩნიათ. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეების სამოქალაქო ცნობიერების გაღრმავებას, მათში სამყაროს კრიტიკული აღქმისა და თანამშრომლობის უნარების ფორმირებას, ემპათიის, პასუხისმგებლობის, თავდაჯერებულობისა და სხვათა მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბებას.

ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესი, როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის მნიშვნელოვანი ელემენტია დემოკრატიულ პროცესში მონაწილეობისა და პრაქტიკული გამოცდილების მიღების თვალსაზრისით. ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სკოლასა და ადგილობრივ თემს შორის არსებული თანამშრომლობა ეყრდნობოდეს თანასწორობისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის პრინციპებს და ერთობლივი მოქმედებების შეუზღუდავი მასშტაბი გააჩნდეს.

ადგილობრივ თემთან თანამშრომლობის ფარგლებში სკოლებმა უნდა:

1. ჩამოაყალიბონ მყარი და თანასწორი პარტნიორობები (დადონ ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ხელშეკრულებები, დასახონ საერთო გეგმები, ააგონ ერთობლივი პროექტები და განახორციელონ ერთობლივი ღონისძიებები / საზოგადოებრივი საქმიანობა);
2. გამოიყენონ საგანმანათლებლო პოტენციალი და ერთობლივი რესურსები მოსწავლეთა სამოქალაქო კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით;
3. ერთობლივად მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ადგილობრივი თემის ცხოვრებაში;
4. ჩაატარონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების (NGO) გამოფენები სკოლაში, ასწავლონ ბავშვებს, თუ როგორ უნდა გააანალიზონ არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ არსებული ინფორმაცია;
5. ჩაერთონ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში;
6. შექმნან საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციები სკოლის ბაზაზე (სკოლის მეგობართა კავშირები, მშობელთა კავშირები და სხვა);

7. მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა (NGO) საქმიანობაში, ექსპერტების სტატუსით ჩართონ პროცესში მასწავლებლები, ხოლო მოხალისეების სტატუსით - მოსწავლეები;
8. მოიწვიონ მოხალისეები საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, საგანმანათლებლო პროცესის გამდიდრებისა და დივერსიფიკაციის მიზნით;
9. ჩაერთონ თვითმმართველობის პროგრამებში, პროექტებში, კონკურსებში და სტაჟირებებში;
10. ითანამშრომლონ ადგილობრივ თვითმმართველობასთან იმისათვის, რომ გაიგონ ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის პრინციპები (ექსკურსიების ორგანიზება, ღია კარის დღეები);
11. მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი ბიუჯეტის შექმნაში, ჩაერთონ ადგილობრივი საკრებულოების კომიტეტების მუშაობაში;
12. მონაწილეობა მიიღონ კონსულტაციებში, რომლებიც ადგილობრივ თემთან დაკავშირებული საკითხების დაგეგმვას ეხება;
13. ახალგაზრდული საბჭოების მეშვეობით მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც ადგილობრივ თემს შეეხება;
14. მიაწოდონ ადგილობრივ თემს ინფორმაცია სკოლის საჭიროებებსა და მის წარმატებებზე;
15. სკოლების ბაზაზე შექმნან თემის ახალგაზრდული ცენტრები;
16. ინიცირება გაუწიონ ერთობლივ მოქმედებებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიზნით (პროექტები, არდადეგები, გამოფენები, ლანდშაფტური არქიტექტურა).

ყველა ზემოთ წარმოდგენილი და აგრეთვე სკოლების მიერ ინიციირებული სხვა ღონისძიებები მოწმობენ, რომ ზოგადსასკოლო მიდგომა ნათლადაა გაგებული და იგი პრაქტიკაში რეალიზდება. ეს ინიციატივები მომავალში განაპირობებენ რომ მოსწავლეებში სამოქალაქო კომპეტენციების ფორმირებისა და შეძენის პროცესი ეფექტიანი იქნება, ხოლო შეძენილი კომპეტენციები კი მდგრადი.

თავი II

ჟოფია მიკლოსი, „დემნეტი” უნგრეთი , Zsofia Miklos, Demnet, Hungary,
Zsofia.miklos@demnet.org.hu

აქტიური მოქალაქეობა - გამოწვევები და წარმატებული მაგალითები

1. შესავალი

როგორ აღვზარდოთ დამოუკიდებელი, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, დემოკრატიული ადამიანი? პასუხს ამ შეკითხვაზე ეძებენ ფილოსოფოსები, სოციოლოგები და განათლების დარგის სპეციალისტები. თანამედროვე პედაგოგიური მეცნიერება გვთავაზობს რამდენიმე პრინციპსა და მეთოდს, რომლებსაც შეგვიძლია დავეყრდნოთ, რათა ახალგაზრდები გახდნენ საზოგადოების აქტიური წევრები.

პუბლიკაციის ამ თავის მიზანია, მოკლედ მიმოიხილოს ბავშთა უფლებებისა და მათი ფორმაციის გლობალური პრინციპები და საერთაშორისო ჩარჩო სტანდარტები. ის განიხილავს როგორც გაეროს შესაბამის დოკუმენტებს და ბავშვთა დემოკრატიული აღზრდის სტანდარტებს, ასევე ევროპული ინსტიტუტების, მათ შორის ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის მიერ მიღებულ საკანონმდებლო აქტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს. ის ასევე აღწერს დემოკრატიული თანამონაწილეობის ტენდენციებს და ახალგაზრდობის შეხედულებებს სამოქალაქო მონაწილეობაზე ვიშეგრადის ოთხეულის წევრ ქვეყნებში. გამოყენებული იქნება „ევრობარომეტრის“ კვლევის შედეგები, უნგრეთში ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტიურობის დონის კვლევა, სამართლებრივი გარემოს, შესაბამისი კვლევითი ნაშრომების და კონკრეტული შემთხვევების ანალიზი. ნაშრომს დაასრულებს პროექტში „ისწავლე და გამოსცადე აქტიური მოქალაქეობა“ დემნეტის (დემოკრატიული უფლებების განვითარების ფონდის) მიერ გაწეული წვლილის მოკლე შეჯამება.

2.მსოფლიოს დამოკიდებულება საკითხის მიმართ და მდგომარეობა ევროპაში

მსოფლიოში შემუშავებულია საერთაშორისო მექანიზმები, რომელთა მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა და ყველასთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა. საერთაშორისო საზოგადოებამ გადადგა ისტორიული ნაბიჯი ბავშვთა უფლებების დაცვისა და რეალიზების თვალსაზრისით 1949 წელს, როდესაც მსოფლიო ლიდერებმა ხელი მოაწერეს *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) კონვენციას ბავშვთა უფლებების შესახებ,* რომელიც გახდა მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვის ყველაზე ფართოდ რატიფიცირებული ხელშეკრულება.[3]

[3]გაეროს ვებგვერდი, URL: https://www.unicef.org/child-rights-convention/what-is-the-convention (ბოლო ნახვა: 1/06/2020)

კონვენციის ტექსტში ჩვენ ვერ ვნახავთ აქტიური მოქალაქეობის სწავლების დეტალურ რეკომენდაციებს, მაგრამ მასში დეკლარირებულია, რომ „ბავშვი სრულად მომზადებული უნდა იყოს ინდივიდუალური ცხოვრებისთვის საზოგადოებაში და უნდა აღიზარდოს გაერთიანებული ერების ქარტიის იდეალების, განსაკუთრებით მშვიდობის, ღირსების, ტოლერანტულობის, თავისუფლების, თანასწორობის და სოლიდარობის სულისკვეთებით.“ [4]

ამ პრინციპების შევსება ხდება 2015 წელს მიღებული *გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნებით* (მიზანი 4.7, ხარისხიანი განათლება), სადაც ნათქვამია: „2030 წლისთვის უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეების მიერ საჭირო ცოდნის და უნარ-ჩვევების შეძენა მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის, მათ შორის მდგრადი განვითარების და ცხოვრების შესაბამისი სტილის, ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის, მშვიდობის და არაძალადობრივი კულტურის, მსოფლიოს მოქალაქეობის, კულტურული მრავალფეროვნების და მდგრად განვითარებაში კულტურის წვლილის დაფასების სწავლების გზით.“[5]

ამ მიზნის ფორმულირებით ხდება მსოფლიოს მოქალაქეობის ცნების შემოღება. ოქსფამის განმარტების თანახმად, „მსოფლიოს მოქალაქე არის ადამიანი, რომელიც აცნობიერებს გარე სამყაროს არსებობას და საკუთარ ადგილს ამ სამყაროში. ის აქტიურია თავის თემში და სხვებთან ერთად მუშაობს იმისთვის, რომ ჩვენი პლანეტა უფრო თანასწორი, სამართლიანი და მდგრადი იყოს.“ [6] ეს განმარტება ასევე ხაზს უსვამს აქტიური მოქალაქეობის ზოგიერთ ძირითად პირობასაც.

ევროპის დონეზე არსებობს საერთაშორისო ინსტიტუტები, რომლებსაც ფორმულირებული აქვთ ახალგაზრდების დემოკრატიული განათლების პრინციპები და დირექტივები. ევროპის საბჭოს მიერ მიღებული *ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ* არის „მნიშვნელოვანი ათვლის წერტილი ყველა ადამიანისთვის, ვინც მუშაობს სამოქალაქო განათლებისა და ადამიანის უფლებების სწავლების სფეროში. ის გვაძლევს ფოკუსს და წარმოადგენს მოქმედების კატალიზატორს წევრი სახელმწიფოებისათვის. ის ასევე წარმოადგენს ევროპაში და მის გარეთ საუკეთესო გამოცდილების გაზიარების და სტანდარტების

[4]კონვენციის ტექსტი, URL: https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/crc.aspx (ბოლო ნახვა: 1/06/2020)
[5]მდგრადი განვითარების მიზნების ვებგვერდი, URL: https://sustainabledevelopment.un.org/sdg4 (ბოლო ნახვა: 1/06/2020)
[6]ოქსფამი: რა არის მსოფლიოს მოქალაქეობა? URL: https://www.oxfam.org.uk/education/who-we-are/what-is-global-citizenship (ბოლო ნახვა: 1/06/2020)

გაუმჯობესების გზას. [7] ქარტიის ჩარჩოებში გაცემული რეკომენდაციები წევრი სახელმწიფოებისათვის მოიცავს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების სწავლების ინტერგრირებას როგორც ყველა დონის ფორმალური განათლების პროგრამაში, ასევე პროფესიულ განათლებასა და ტრენინგში. [8] *დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო,* ასევე შემუშავებული ევროპის საბჭოს მიერ, „პირველად აყალიბებს იმ ძირითად ღირებულებებს, უნარ-ჩვევებს, დამოკიდებულებასა და ცოდნას, რომლებიც სჭირდება ყველა მოქალაქეს იმისთვის, რომ დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრი იყოს.“[9]

ევროპის საბჭოს დონეზე არსებობს მრავალი დოკუმენტი და რეკომენდაცია აქტიური მოქალაქეობის სწავლებისთვის, მაგრამ პრიორიტეტებს და მიზნებს წევრი სახელმწიფოებისთვის აყალიბებს 2009 წელს დამტკიცებული *განათლებისა და ტრენინგის სფეროში ევროპული თანამშრომლობის სტრატეგიული ჩარჩო (ET 2020).ET 2020* ჩარჩოს იმპლემენტაციის 2015 წლის ევროსაბჭოსა და ევროკომისიის ერთობლივ ანგარიშში[10] მათ შეაჯამეს ჩარჩოს განხორციელების პროგრესი და დასახეს ახალი პრიორიტეტები 2020 წლამდე.

ET 2020 ჩარჩოს თავდაპირველად ჰქონდა ოთხი მიზანი:

1. ადამიანის ცხოვრების მანძილზე მუდმივი სწავლისა და მობილობის რეალობად ქცევა;
2. განათლებისა და ტრენინგის ხარისხისა და ეფექტიანობის გაუმჯობესება;
3. თანასწორობის, სოციალური კავშირებისა და აქტიური მოქალაქეობის წინა პლანზე წამოწევა;
4. განათლებისა და გადამზადების ყველა დონეზე მეტი შემოქმედებისა და სიახლის დანერგვა, სოციალური მეწარმეობის ჩათვლით.

2015 წლის ანგარიშის ტექსტში ხელახლა დადასტურებულია თავდაპირველი სტრატეგიული მიზნები. ამის გარდა აქ დასახულია ექვსი პრიორიტეტული სფერო ვადით 2020 წლამდე და განსზღვრულია კონკრეტული გადასაჭრელი საკითხები თითოეული მათგანისთვის. ეს პრიორიტეტული სფეროებია:

1. რელევანტური და კარგი უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რომლებიც მოგვცემს შედეგს დასაქმების, ინოვაციის და აქტიური მოქალაქეობის თვალსაზრისით;

[7]ევროპის საბჭოს ვებგვერდი, URL: https://www.coe.int/en/web/edc/charter-on-education-for-democratic-citizenship-and-human-rights-education (ბოლო ნახვა: 1/06/2020)

[8]რეკომენდაციები, URL: https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805cf01f (ბოლო ნახვა: 1/06/2020)

[9]სარეკომენდაციო ჩარჩო, URL: https://www.coe.int/en/web/campaign-free-to-speak-safe-to-learn/reference-framework-of-competences-for-democratic-culture (ბოლო ნახვა: 1/06/2020)

[10]ერთობლივი ანგარიში, URL: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:52015XG1215(02) (ბოლო ნახვა: 1/06/2020)

2. ინკლუზიური განათლება, თანასწორობა, დისკრიმინაციის არარსებობა და სამოქალაქო კომპეტენციების წინა პლანზე წამოწევა;
3. ღია და ინოვაციური განათლება და ტრენინგი, ციფრული ეპოქის მიღწევების სრული გათვალისწინებით;
4. მასწავლებლების, ტრენერების, სასკოლო ლიდერების და განათლების სისტემაში მომუშავე სხვა სპეციალისტების ძლიერი მხარდაჭერა
5. გამჭირვალობა და უნარებისა და კვალიფიკაციის მნიშვნელობის აღიარება სწავლებისა და მუშახელის მობილურობის ხელშეწყობისთვის;
6. მდგრადი ინვესტირება, განათლებისა და ტრენინგის სისტემების ხარისხი და ეფექტურობა.

3.ახალგაზრდობის სამოქალაქო მონაწილეობა ვიშეგრადის ოთხეულის ქვეყნებში

„ევრობარომეტრის“ერთ-ერთი უახლესი გამოკითხვისას, რომელიც ჩატარდა 2017 წელს[11] და რომლის დროსაც გამოიკითხა 15-30 წლის ასაკის 11 000 რესპონდენტი ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნიდან, ახალგაზრდებს დაუსვეს შეკითხვები სოციალურ და სამოქალაქო ცხოვრებაში მათი მონაწილეობის და მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართულობის შესახებ. შედეგები გვაჩვენებს, რომ ვიშეგრადის ოთხეულის ქვეყნებში ახალგაზრდების პოლიტიკური თანამონაწილეობა და სამოქალაქო ჩართულობა როგორც წესი, ევროკავშირის საერთო დონეზე დაბალია. პოლონეთის გარდა, ვიშეგრადის ოთხეულის წევრი სახელმწიფოებიდან რესპონდენტების ნებისმიერ არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებელი ბოლო სამი წლის განმავლობაში (ანუ 2014-2017 წლებში) იყო ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე დაბალი, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მათ შორის ჰქონდა უნგრეთს. (იხ. ნახ. 1)

მსგავსი მდგომარეობაა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში ჩართულობის თვალსაზრისით. შეკითხვაზე, მიუღია თუ არა რესპონდენტს მონაწილეობა სპორტული კლუბის, ახალგაზრდული, კულტურული, პოლიტიკური ორგანიზაციის ან პოლიტიკური პარტიის, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციის, გარემოსდაცვითი, ადამიანის უფლებების დამცველი ან გლობალური განვითარების ორგანიზაციის, ანდა ნებისმიერი სხვა არასამთავრობო ორგანიზაცის საქმიანობაში ბოლო 12 თვის

[11] „სწრაფი“ ევრობარომეტრი 455, URL: https://data.europa.eu/euodp/en/data/dataset/S2163_455_ENG (ბოლო ნახვა: 1/06/2020)

განმავლობაში, სლოვაკი რესპონდენტების მხოლოდ 30 პროცენტმა, უნგრელების 31 პროცენტმა და პოლონელების 39 პროცენტმა უპასუხა, რომ სულ მცირე ერთი ტიპის ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობდნენ, მაშინ, როდესაც საშუალო მაჩვენებელი ევროკავშირისთვის იყო 53%. ამ საშუალო მაჩვენებელთან მიახლოებული იყო ჩეხეთის მაჩვენებელი, სადაც რესპონდენტების 51 პროცენტმა უპასუხა, რომ მიუღიათ მონაწილეობა ჩამოთვლილიდან სულ მცირე ერთი ტიპის ორგანიზაციის მუშაობაში. მონაწილეობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ სპორტულ და ახალგაზრდულ კლუბებს.

Figure 1. During the last 3 years, did you vote in any political election at the local, regional, national or EU level? If you were, at that time, not eligible to vote, please say so.



Source: Flash Eurobarometer 455: European Youth. https://data.europa.eu/euodp/data/dataset/S2163_455_ENG

თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ვიშეგრადის ოთხეულის ქვეყნების ახალგაზრდებს არ შეუძლიათ გააცნობიერონ კონკრეტული სოციალური, ეკონომიკური ან ეკოლოგიური პრობლემები, რომლებიც მათთვის მნიშვნელოვანია, და რომლებიც მათი აზრით გადასაჭრელია.

შეკითხვაზე ევროპის მომავალზე მათი შეხედულების შესახებ პასუხის გაცემისას ვიშეგრადული ოთხეულის რესპონდენტების დიდი ნაწილი დაეთანხმა, რომ საჭიროა:

- განვითარდეს კრიტიკული აზროვნება და ინფორმაციის მოძიების უნარი, რაც შესაძლებელს გახდის ყალბ ახალ ამბებთან და ექსტრემიზმთან ბრძოლას (ჩეხეთი 56%, პოლონეთი 54%, უნგრეთი 50%, სლოვაკეთი 30%, ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი 49%);
- ადვილად ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია საზღვარგარეთ წასვლის და მუშაობის შესახებ (ჩეხეთი 55%, პოლონეთი 54%, უნგრეთი 49%, სლოვაკეთი 48%, ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი49%);
- მოხდეს ეკოლოგიური ინიციატივების პროპაგანდა, როგორიცაა მაგალითად მდგრადი ტრანსპორტი ან ნარჩენების გადამუშავების სისტემების დანერგვა (ჩეხეთი 39%, უნგრეთი 39%, სლოვაკეთი 31%, პოლონეთი 30%, ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი 40%).

რაც შეეხება შეკითხვას იმაზე, თუ რა უნდა იყოს ევროკავშირის მთავარი პრიორიტეტები:

- ვიშეგრადის ჯგუფის რესპონდენტების დიდი ნაწილი თვლის, რომ ევროკავშირის მთავარი პრიორიტეტები უნდა იყოს განათლება და უნარ-ჩვევები (უნგრეთი: 63%; ჩეხეთი: 46%; პოლონეთი: 46%; სლოვაკეთი: 40%; ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი: 53%);
- გარემოს დაცვას და კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლას ასევე მაღალი მხარდაჭერა აქვს (უნგრეთი: 54%; ჩეხეთი: 50%; სლოვაკეთი: 46%; პოლონეთი: 30%; ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი: 50%);
- შემდეგი პრიორიტეტებია დასაქმება, მიგრაცია და უსაფრთხოება;
- ყველაზე დაბალი პრიორიტეტი აქვს დემოკრატიულ თანამონაწილეობას და სოლიდარობას.

4. ახალგაზრდები და აქტიური მოქალაქეობა უნგრეთში

უნგრეთის საჯარო განათლების აქტის პირველი აბზაცი კანონის ზოგად მიზნებსა და პრინციპებს აქ ჩვენ ვკითხულობთ, რომ უნგრეთის განათლების სისტემის მიზანია

ზნეობრივი, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქეების აღზრდა, რომლებიც შეძლებენ ინდივიდუალურად ცხოვრების წარმართვას და პირადი მიზნების მიღწევას და ასევე შეძლებენ, პირადი ინტერესის საზოგადოებრივ ინტერესთან ჰარმონიულად მორგებას. განათლების სახელმწიფო სისტემას საფუძვლად უდევს ცოდნის, სამართალის, წესრიგის, თავისუფლების, სამართლიანობის და სოლიდარობის ზნეობრივი და ინტელექტუალური პრინციპები და ის მიზნად ისახავს მდგრადი განვითარებისთვის და ცხოვრების ჯანსაღი წესისთვის საჭირო განათლების უზრუნველყოფას.[12]

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ უნგრეთის განათლების სისტემის სამ შემადგენელ ელემენტს. ისინი კონკრეტულად მიმართულია უნგრელი ახალგაზრდების აქტიური მოქალაქეობის უნარების განვითარებაზე. ეს ელემენტებია:

1. სავალდებულო საზოგადოებრივი სამუშაო,
2. სამოქალაქო განათლების კურსი,
3. სტუდენტური საბჭოების სისტემა.

4.1. საზოგადოებრივი სამუშაო

2016 წელს უნგრეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც - და ეს ერთადერთი მაგალითია ევროპაში - საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის სავალდებულოა სკოლის დამთავრებამდე ორმოცდაათი საათის განმავლობაში მუშაობა საზოგადოებრივ სამსახურში. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი მოხალისეობრივი სამუშაო, შესრულებული ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, სოციალური ან გარემოსდაცვითი პროფილის ორგანიზაციისთვის ან უბრალოდ ადგილობრივი თემის სასარგებლოდ. [13] სკოლა უზრუნველყოფს დახმარებას ამ საქმიანობის განხორციელებისთვის და „მოსწავლეებს ეხმარებიან მასწავლებლები". [14] საზოგადოებრივი სამსახურის შესრულების ვალდებულება პოტენციური ეფექტური ინსტრუმენტია დემოკრატიული კომპეტენციების

[12] კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2011. CXC. URL: https://net.jogtar.hu/jogszabaly?docid=a1100190.tv (ბოლო ნახვა: 1/06/2020)

[13] იხ. ზემოთ.

[14] კატალინა ჰეტცერი. საბავშვო ბაღი და სკოლა უნგრეთში - მშობელის სახელმძღვანელო - უნგრეთის განათლების სისტემა, Menedék – უნგრეთის ასოციაცია მიგრანტებისთვის, ბუდაპეშტი, 2017, URL: https://menedek.hu/sites/default/files/media/document/2018/01/22/02_bef_sik_ov_kiadvany_eng.pdf (ბოლო ნახვა: 1/06/2020)

განვითარებისათვის. ის განიხილება, როგორც კარგი პედაგოგიური ბერკეტი აქტიური დემოკრატიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის[15], და მოხალისეთა ცენტრის ფონდის თანახმად, არის შესაძლებლობა მოსწავლეებისთვის ისწავლონ პრობლემების მოგვარება, თანამშრომლობა, კონფლიქტის მართვა, ემპათია, შემოქმედებითი აზროვნება, პროექტის დაგეგმვა, გადაწყვეტილებების მიღება და პასუხისმგებლობის აღება.[16]

4.2 სამოქალაქო განათლება

2012 წლამდე სასწავლო გეგმაში უნგრეთში შედიოდა ცალკე საგანი სახელწოდებით სამოქალაქო განათლება. ეროვნული სასწავლო გეგმის შემოღების შემდეგ ის გახდა ისტორიის საგნის ნაწილი. თუმცა 2020 წელს სამოქალაქო განათლება ისევ გახდა უნგრეთის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დამოუკიდებელი ნაწილი.

საგანი, რომელიც ამჟამად შედის როგორც დაწყებითი, ასევე საშუალო განათლების პროგრამაში, მიზნად ისახავს მოსწავლეების ინდივიდუალური და ოჯახური სოციალიზაციის ჩამოყალიბებას, მისი, როგორც მოქალაქის, აქტიური და პასუხისმგებლიანი ქცევის საფუძველის ჩაყრას, სოციალური ნორმებისა და თავისუფლების ღირებულებების გაცნობიერებას, ეროვნული იდენტურობის გაძლიერებას და მდგრადი განვითარების მნიშვნელობის გაცნობიერებას.[17]

სამოქალაქო განათლების ცალკე საგნად აღდგენას მიესალმნენ პროფესიული ორგანიზაციები, მაგრამ ამავე დროს გააკრიტიკა ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციამ. საჯარო განცხადებაში მათ განაცხადეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისასალმებელია, რომ სამოქალაქო განათლებამ დაიბრუნა დამოუკიდებელი საგნის სტატუსი, მის ჩარჩო პროგრამაში სრულად დომინირებს პატრიოტიზმის და ეროვნული თავდაცვის თემები.[18]

[15]ჟუჟა მატოლცი: Aktív és felelős állampolgári készségek és az iskolai közösségi szolgálat, -Demokratikus Ifjúságért Alapítvány, ბუდაპეშტი, 2017, URL: https://issuu.com/diahu/docs/trencs__nyi_70_iksz_cikk (ბოლო ნახვა: 1/06/2020)

[16]წყარო: მოხალისეთა ცენტრის ფონდის ვებგვერდი, URL: http://www.onkentes.hu/cikkek/iskolai-koezoessegi-szolgalat (ბოლო ნახვა: 1/06/2020)

[17]ჩარჩო სასწავლო გეგმა - სამოქალაქო განათლება დაწყებითი და საშუალო სკოლებისთვის, URL: https://www.oktatas.hu/kozneveles/kerettantervek/2020_nat/kerettanterv_gimn_9_12_evf https://www.oktatas.hu/kozneveles/kerettantervek/2020_nat/kerettanterv_alt_isk_5_8 (ბოლო ნახვა: 1/06/2020)

[18]ისტორიის მასწავლებელთაასოციაციის განცხადება ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით, URL: https://tte.hu/a-tortenelemtanarok-egylete-allasfoglalasa-az-uj-nemzeti-alaptanterv-2020-januar-31-en-megjelent-szovegerol/ (ბოლო ნახვა: 1/06/2020)

4.3 სტუდენტური საბჭოების სისტემა

ზოგადი განათლების შესახებ კანონის თავი N48 ადგენს ჩარჩოებს სტუდენტების თვითორგანიზებისთვის. სტუდენტური ჯგუფები - მასწავლებელთა საბჭოსთან კონსულტაციის დახმარებით - იღებენ გადაწყვეტილებებს მათი ერთობლივი საქმიანობის დაგეგმვისა და ორგანიზების თაობაზე და ირჩევენ საკუთარ ხელმძღვანელებს. ეს ემსახურება სტუდენტების დემოკრატიული უნარების განვითარებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტი პასუხისმგებლობის გამოჩენას. ასეთმა ჯგუფებმა შეიძლება შექმნან და/ან წარმოდგენილი იყვნენ ეგრეთწოდებულ სტუდენტურ საბჭოში, რომლის ზედამხედველობას ახორციელებს კვალიფიციური მასწავლებელი, დასახელებული საბჭოს მიერ და დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ.

სტუდენტურ საბჭოსთან კონსულტაცია აუცილებელია სკოლის შინაგანაწესის ნებისმიერი შეცვლისას, სტუდენტების სოციალური შეღავათების გადანაწილებისას, ახალგაზრდული პოლიტიკის ფონდების გამოყენებისას და სასწავლებლის წესების დადგენისას.[19]

4.4 უნგრეთის ახალგაზრდა თაობის პოლიტიკური ღირებულებები

ევროპელი ახალგაზრდობის გამოკითხვა [20] , რომელიც განხორციელდა ევროპის პროგრესული კვლევის ფონდის „მილენიუმის დიალოგის“ პროექტის ფარგლებში, სწავლობს რესპონდენტების საერთო კმაყოფილებას ცხოვრებით, სამომავლო კარიერულ გეგმებს, ინტერესს პოლიტიკის მიმართ, დამოკიდებულებას ხმის მიცემის მიმართ და მათთვის კონკრეტული ღირებულებებისა და თემების მნიშვნელობას. 2016 წელს მკვლევარებმა გამოკითხეს 1000 უნგრელი ახალგაზრდა (15 და 34 წელს შორის). „შერჩევა განხორციელდა ისე, რომ სრულად ყოფილიყო წარმოდგენილი უნგრელი „მილენიალების“ თაობა, ასაკის, გეოგრაფიული რეგიონის, ოჯახური შემოსავლის და განათლების დონის მიხედვით.“[21]

შედეგების თანახმად, უნგრეთის ახალგაზრდობის უმრავლესობა ბედნიერი და ოპტიმისტურად განწყობილია, 61% ამბობს, რომ მთლიანობაში კმაყოფილები არიან ცხოვრებით, და 66% რომ ოპტიმისტურად უყურებენ მომავალს. ამავე დროს მათი დაინტერესება პოლიტიკით ძალიან დაბალია: მხოლოდ 6% ამბობს, რომ პოლიტიკა ძალიან აინტერესებთ, 23 პროცენტმა განაცხადა, რომ საკმაოდ აინტერესებთ.

[19] კანონი საჯარო განათლების შესახებ 2011. CXC. §48 URL: https://net.jogtar.hu/jogszabaly?docid=a1100190.tv (ბოლო ნახვა: 1/06/2020)
[20] „მილენიუმის დიალოგის“ ვებგვერდი,URL: https://www.millennialdialogue.com/ (ბოლო ნახვა: 1/06/2020)
[21] „მილენიუმის დიალოგის“ უნგრეთში 2016 წლის კვლევის ანგარიში, URL: https://www.millennialdialogue.com/media/1062/millennial-dialogue-hungary-report-v3.pdf (ბოლო ნახვა: 1/06/2020)

რესპონდენტების წილი, რომლებმაც განაცხადეს, რომ პოლიტიკა მაინცდამაინც არ აინტერესებთ ან სულ არ აინტერესებთ, საკმაოდ მაღალი იყო (71%). ამის უპირველეს მიზეზებად დასახელდა ის, რომ ვერ ახდენენ გავლენას მოვლენების განვითარებაზე ან გადაწყვეტილებების მიღებაზე და იმედგაცრუების გრძნობა, გამოწვეული კორუფციით და დარღვეული დაპირებებით.მიზეზებს შორის რესპონდენტებმა ასევე დაასახელეს პოლიტიკოსების ცუდი საქციელი და ის, რომ ბევრი ახალგაზრდა იმდენად დაკავებულია საკუთარი ცხოვრებით, რომ აღარ რჩება დრო პოლიტიკისთვის.



[22]

ზემოთ მოყვანილ შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალგაზრდა უნგრელები უფრო აფასებენ ინდივიდუალურ კეთილდღეობას და თვითგამოხატვას, ვიდრე საზოგადოებრივ ღირებულებებს. ახალგაზრდები უნგრეთში თვლიან, რომ მათთვის პირადად ყველაზე მნიშვნელოვანია ბედნიერება და ჯანმრთელობა, ხოლო იმას, რაც დაკავშირებულია აქტიურ მოქალაქეობასთან, მაგალითად, გააგონონ ვინმეს თავისი მოსაზრება, ჩაერთონ ადგილობრივი თემის საქმიანობაში, შეიტანონ წვლილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ან დაინტერესდნენ პოლიტიკით, მათი პრიორიტეტების ჩამონათვალში გაცილებით დაბალი ადგილი უჭირავს. ამას სჭირდება ყურადღების მიქცევა, როდესაც საუბარია აქტიური მოქალაქეობის სწავლებაზე უნგრეთში.

[22]წყარო: იგივე

4.4.1 Almásfüzitő – ადგილობრივი ჩართულობის მაგალითი

პოლიტიკურ ინსტიტუტებზე საერთო გულის აცრუების მიუხედავად, მაინც გვხვდება მაგალითები, თუ როგორ იღებენ ახალგაზრდები საკუთარ თავზე იმ საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც მათთვის მნიშვნელოვანია და როგორ მუშაობენ მათზე ადგილობრივ და ინდივიდუალურ დონეზე. [23]

‘Index.hu“ - მ, რომელიც უნგრეთის ერთერთი უმსხვილესი ონლაინ საინფორმაციო საშუალებაა, გააკეთა ვიდეოსიუჟეტი [24] სოფელ ალმასფუზიტოში მცხოვრები 14 წლის ბიჭის შესახებ. ეს სოფელი უნგრეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს და იქ სულ 2000 ადამიანი ცხოვრობს. ამ ახალგაზრდამ წამოიწყო ინიციატივა საზოგადოებრივ ადგილებში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად. მან ჟურნალისტებს უთხრა, რომ ზრუნავს საერთო კეთილდღეობაზე და თემის საჯარო სივრცეებზე, ამიტომ ის უკავშირდება ხელისუფლების ორგანოებს, საჯარო სერვისის კომპანიებს და სახელმწიფო კომპანიებს, რათა შეატყობინოს მათ ქალაქის რკინიგზის სადგურზე წარწერაში არსებული გრამატიკული შეცდომის, საშიში მოაჯირის, გზის დაზიანების ან საფეხმავლო გადასასვლელზე წაშლილი მონიშვნის შესახებ.

ის არა მარტო წარმატებით პოულობს და იყენებს ხელისუფლებასთან კომუნიკაციის სწორ გზებს, ასევე სამოქალაქო ჩართულობის სხვა ინსტრუმენტებსაც მიმართავს. მაგალითად, როდესაც გამოიჩინა ინიციატივა, უნგრეთის სახელმწიფო რკინიგზისთვის მოეხდინათ სადგურში განლაგებული გამოუყენებელი შენობის დემონტაჟი, რომელიც ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო და თან ვანდალიზმის მუდვივ სამიზნეს წარმოადგენდა, მან მოამზადა პეტიცია თავისი პოზიციის გასამყარებლად. შედეგად მიიღო დაპირება უნგრეთის სახელმწიფო რკინიგზის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარისაგან, რომ ექსპერტები შეაფასებენ დემონტაჟის ხარჯებს.

[23] პეტი ვიდეოსიუჟეტში, სურათის წყარო: Tizennégy évesen oldja meg a település problémáit, Index.hu, URL: https://index.hu/video/2020/05/21/almasfuzito_mav_vasutallomas_udvardi_peter/ (ბოლო ნახვა: 1/06/2020)
[24] იგივე.

ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, ის დაინტერესებულია სამართლის სფეროთი და რეგულარულად კითხულობს უნგრეთის ძირითად კანონს, ისევე, როგორც სხვა საკანონმდებლო კოდექსებს. მან ასევე აჩვენა ჟურნალისტებს თავისი მიმოწერა უნგრეთის პრეზიდენტის ოფისთან და დიდი ბრიტანეტის სამეფო სასამართლოსთან. ის ამბობს, რომ სამეფო ოჯახის დიდი თაყვანისმცემელია, მიწერილი აქვს წერილები დედოფალ ელისაბედისთვის ბრექსიტის თაობაზე, მისი დაბადების დღის აღსანიშნავად და მისი სიტყვის თაობაზე, რომელიც წარმოთქვა კორონავირუსის პანდემიის გმირების საპატივცემულოდ. იშვიათია, როდესაც ამდენად ახალგაზრდა ადამიანი ასე ინტენსიურად არის ჩართული საზოგადოებრივ საქმეებში, ამდენად კარგად არის ინფორმირებული და ასე ნაყოფიერად ახერხებს მიაწვდინოს ხმა ხელისუფლების ორგანოებს. ეს ახალგაზრდა დემოკრატიული თანამონაწილეობის წარმატებულ მაგალითს წარმოადგენს.

5. საერთაშორისო საკითხები ახალგაზრდების პერსპექტივიდან

პოლიტიკის თეორეტიკოსის რონალდ ინგლეჰარტის თანახმად, გლობალიზაციის საუკუნეში დასავლური საზოგადოება ხედავს, როგორ იცვლება ძველი, მატერიალისტური ღირებულებები პოსტ-მატერიალისტურით. ახალი პრიორიტეტები მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა კლიმატის დაცვა ან გენდერული თანასწორობა, და რომლებიც გამოდის პოლიტიკური აქტივიზმის წინა ხაზზე.[25] რა თქმა უნდა, ეს არ არის ერთი და იგივე მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის, რომლებიც ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იმყოფებიან და განსხვავებული პოლიტიკური სისტემები აქვთ, თუმცა ნამდვილად ღირს, განვიხილოთ გლობალიზაციისგან წარმოშობილი ახალი პრობლემები განსხვავებულ ეროვნულ კონტექსტებში, განსაკუთრებით ახალგაზრდობის პოზიციიდან.

როგორც ჩანს, მზარდი ურთიერთკავშირის გარდა, გლობალიზაციას და ტექნოლოგიურ განვითარებას ასევე მოაქვს თაობების ახალი გამოცდილება. უპრეცედენტო გლობალური გამოწვევების ფონზე, როგორიცაა კლიმატის ცვლილება ან მიმდინარე კორონავირუსის პანდემია, იცვლება ასევე ახალგაზრდების პოლიტიკური ჩართულობის ტრადიციული ბაზა.

[25]რონალდ ინგლეჰარტი: გლობალიზაცია და პოსტმოდერნისტული ღირებულებები, The Washington Quarterly, დეკემბერი 2000. URL: https://www.uv.es/~genomica/spa/inves/Inglehart.pdf (ბოლო ნახვა: 1/06/2020)

5.1 უნგრელი ახალგაზრდობის დაინტერესება კლიმატის პრობლემით

კლიმატის ცვლილება უდავოდ არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საერთო პრობლემა მსოფლიოში. მეცნიერები და კლიმატის აქტივისტთა ჯგუფები გვაფრთხილებენ გლობალური დათბობის საზიანო შედეგების შესახებ, რომლებიც ჩვენს ცხოვრებას შეცვლის და ამ თემის ირგვლივ ხდება საზოგადოების სულ უფრო მეტი მობილიზება. ეს განსაკუთრებით მართალია ახალგაზრდა თაობებისათვის და ამის ასახვას ჩვენ ვხედავთ კლიმატის დაცვის გლობალურ მოძრაობაშიც, რომლის მამოძრავებელი ძალა მთელ მსოფლიოშიახალგაზრდები არიან.

უნგრეთში ასევე, ბევრი ახალგაზრდა გრძნობს, რომ პასუხს აგებენ გარემოს მდგომარეობაზე. დემნეტის (დეოკრატიული უფლებების განვითარების ფონდი) მიერ ქვეყანაში 2019 წელს ჩატარებულ გამოკითხვაში [26] რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ, რამდენად გრძნობენ პასუხისმგებლობას კლიმატის ცვლილების შემცირებაზე, პასუხი უნდა გაეცათ შკალით 1 დან 10 მდე (სადაც 1 იყო საერთოდ არავითარი პასუხისმგებლობა, ხოლო 10 დიდი პასუხისმგებლობა). ახალგაზრდა რესპონდენტების (18-29 წლის) პასუხები საშუალოდ იყო 7-ის ირგვლივ, რაც პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობაზე მიუთითებდა.

ამავე გამოკითხვის სხვა შეკითხვა იყო რამდენად ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან რესპონდენტები მტკიცებულებას, რომ პოლიტიკოსებმა როგორც იქნა უნდა გადადგან ნაბიჯები კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ. რესპონდენტებს უნდა ეპასუხათ შეკითხვაზე ხუთბალიანი შკალით, სადაც 1 ნიშნავდა „აბსოლუტურად არ ვეთანხმები“, ხოლო 5 – „აბსოლუტურად ვეთანხმები“. ახალგაზრდა რესპონდენტების პასუხები საშუალოდ იყო 4.3.

ახალგაზრდა რესპონდენტები ასევე, უმეტესწილად ეთანხმებოდნენ იმ მოსაზრებას, რომ თუ მსხვილი დამაბინძურებლები და გადაწყვეტილევის მიმღები პირები არ გადადგამენ საჭირო ნაბიჯებს კლიმატის ცვლილების შეზღუდვისთვის, ინდივიდუალური მცდელობები არ იქნება საკმარისი. ახალგაზრდების საშუალო პასუხი ამ შეკითხვაზე შკალით 1-5 იყო 4. ახალგაზრდა უნგრელები ასევე გარკვეულწილად შეშფოთებულები არიან კლიმატის ცვლილების სოციალური შედეგებით. იგივე 1-5 შკალით მათ საშუალოდ 3.9 შეაფასეს მოსაზრება იმის შესახებ, რომ კლიმატის ცვლილება მომავალში სოციალურ დაძაბულობას გამოიწვევს.

[26]გამოკითხვის შედეგების შეფასება ხელმისაწვდომია დემნეტის ვებგვერდზე, URL: https://demnet.hu/en/hungarians-are-concerned-about-climate-change/ (ბოლო ნახვა: 1/06/2020)

5.1.1 კლიმატის კრიზისი - ახალგაზრდების მიერ წამოწყებული კლიმატის აქტივიზმის მაგალითი: მოძრაობა „პარასკევი მომავლის უნგრეთისთვის”

როგორც უკვე ვახსენეთ, კლიმატის დაცვის საერთაშორისო მოძრაობა ბოლო წლებში გამოაცოცხლა ახალგაზრდობის აქტივიზმმა - მისმა ყველაზე გამოჩენილმა ფიგურამ, შვედმა მოზარდმა გრეტა ტუნბერგმა მსოფლიოს მასშტაბით ბევრი ახალგაზრდა შთააგონა, რათა ჩართულიყვნენ კლიმატის აქტივიზმში. საერთაშორისო მოძრაობა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა პარასკევობით ჩატარებულმა მისმა რეგულარულმა საპროტესტო აქციებმა, ცნობილია, როგორც „პარასკევები მომავლისთვის“. ეს მოძრაობა აქტიურია უნგრეთშიც, სადაც ის წამოიწყეს საშუალო სკოლის მოსწავლეებმა და უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რომლებიც ითხოვენ ცხოვრებისთვის მისაღებ მომავალს და სისტემის შეცვლას.

უნგრეთის „პარასკევის მოძრაობა მომავლისთვის“ ეყრდნობა სამ ძირითად პრინციპს: სიცოცხლის პატივისცემა, არა ძალადობას და დამოუკიდებლობა პარტიული პოლიტიკისაგან. ისინი საკუთარ თავს ეძახიან სახალხო მოძრაობას და აქვთ ავტონომიური ჯგუფები უნგრეთის 18 მუნიციპალიტეტში.[27]

„პარასკევის მოძრაობა მომავლისთვის“ უნგრეთის ჯგუფი ახორციელებს რეგულარულ საპროტესტო აქციებს პარასკევობით უნგრეთის პარლამენტის წინ. 2019 წლის შემოდგომაზე ისინი შეუერთდნენ კლიმატის საერთაშორისო აქციას და ბუდაპეშტში ორი ფართომასშტაბიანი დემონსტრაცია მოაწყვეს, რომელშიც მრავალმა ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

უნგრეთის მოძრაობის დამფუძნებლები არიან უნივერსიტეტის სამი სტუდენტი დებრეკენიდან, სადაც ისინი ბიოლოგიას სწავლობენ. ერთობლივ ინტერვიუში მათ თქვეს, რომ კლიმატის ცვლილების შედეგები უკვე კარზე მოგვადგა, ასე რომ მათ უნდათ, მოუწოდონ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და ფართო საზოგადოებას სასწრაფოდ მოემზადონ, რათა შეძლონ ახალ გარემოებებთან ადაპტირება და ამავე დროს ეფექტური მუშაობა იმისთვის, რომ შეამცირონ ქვეყნის ნახშირბადის ემისია და აამაღლონ ენერგოეფექტურობა.[28]

[27]FFF უნგრეთის ვებგვერდი, URL: https://fridaysforfuture.hu/ (ბოლო ნახვა: 1/06/2020)
[28]წყარო: Bence Járdány, FFF: https://fridaysforfuture.hu/galeria/ (ბოლო ნახვა: 1/06/2020)

მათ ასევე თქვეს, რომ ჩვენი მომავალი, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით, განისაზღვრება კლიმატის ცვლილების შედეგებით, რომლებსაც უფრო ადვილად შევეგუებით, თუ ახლავე დავიწყებთ, როგორც საერთაშორისო საზოგადოებისა და

ეკოსისტემის წევრები, ჩვენი ცხოვრების წესის შეცვლას, რათა უკეთესად ვიყოთ მზად (მაგ. აღარ შევჭამთ ინდუსტრიულად დამზადებულ ხორცს, დავამკვიდრებთ ენერგიისა და წყლის დაზოგვის პრაქტიკას ჩვენს ოჯახებში და ა.შ.) ეს ახალგაზრდები ხაზს უსვამენ იმასაც, რომ ინდივიდუალური მოქმედება საკმარისი არაა. ჩვენ ასევე დაგვჭირდება საზოგადოების სისტემური სტრუქტურების, მაგალითად საკვები პროდუქტების სისტემის შეცვლა, რათა მზად ვიყოთ უპრეცედენტო გამოწვევებისთვის, როგორიცაა ძირითადი რესურსების, მაგალითად, ენერგიის, წყლის ან გარკვეული ტიპის საკვების უკმარისობა.[29]

5.2 თაობის ვირუსი?

კორონავირუსის პანდემია არის უახლესი უპრეცედენტო მოვლენა, რომელმაც შექმნა კრიზისი ჩვენი ჯანდაცვის სისტემებში, ეკონომიკასა და საზოგადოებაში და დაგვაყენა აქამდე გამოუცდელი გამოწვევების წინაშე, რომლებიც უნდა გადავლახოთ. მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ დახურა სკოლები, რათა დაიცვას თავისი მოქალაქეები ვირუსის გავრცელებისაგან. მთელ მსოფლიოში ბავშვები აღმოჩნდნენ იზოლაციაში, ახალი განათლების სისტემის და მთლიანად შეცვლილი სოციალური ცხოვრების პირობებში.

ანდრეა ჟაბომ, უნგრელმა მეცნიერმა, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის მკვლევარმა, დაწერა დამაფიქრებელი სტატია[30] იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს თაობებზე კოვიდ - 19 ის კრიზისი. მისი აზრით, დღევანდელ მოზარდებზე მან შეიძლება იმდენად

[29]ინტერვიუ ხელმისწვდომია URL: https://444.hu/2019/03/22/radikalisan-kell-atalakitani-az-eletunket-es-vagy-felkeszulunk-ra-vagy-sokkszeruen-fog-beutni (ბოლო ნახვა: 1/06/2020)

[30] Andrea, Szabó: *A V-, mint Vírus-generáció születése?*, 2020, URL: https://politikatudomany.tk.mta.hu/blog/2020/03/a-v-mint-virus-generacio-szuletese (ბოლო ნახვა: 1/06/2020)

ძლიერად იმოქმედოს, რომ წარმოშობს თაობის ახალ კატეგორიას, რომელსაც „თაობა ვ“-ს ეძახის (ანუ თაობა ვირუსი).
ის წერს, რომ ეს თაობა ერთდროულად იზოლაციაშია მოქცეული და თან თავს გრძნობს საერთაშორისო საზოგადოების ნაწილად. ამასთანავე, დამახასიათებელია, რომ ლოქდაუნის პირობებში იმდენად იზრდება ოჯახის როლი ბავშვის ცხოვრებაში, რომ ოჯახური სოციალიზაცია გადაწონის ინსტიტუციურს. შეიცვლება და გაძლიერდება თანატოლების სოციალიზაცია. იზოლაციამ შეიძლება ასევე აღადგინოს პირადი შეხვედრების როლი, სათემო აქტივობები, რომლებიც პირად დასწრებას მოითხოვს. და ჯერ კიდევ არ ვიცით, რა შედეგები შეიძლება მოიტანოს ამან აქტიური მოქალაქეობის და სოლიდარობის თვალსაზრისით..

5.2.1 Covid-19 – პანდემიაზე ადგილობრივი რეაგირების მაგალითი

კოვიდ -19 - ის პირველი ტალღის საპასუხოდ უნგრეთში დაიხურა სკოლები და მთავრობამ გასცა განკარგულება სასწავლო წლის დისტანციურად, ონლაინ

საშუალებით გაგრძელების შესახებ. თუმცა ფაქტზე, რომ ინტერნეტი ქვეყანაში ათასობით ბავშვისთვის ხელმიუწვდომელია და დისტანციური სწავლებისთვის საჭიროა ტექნიკური აღჭურვილობა ოფიციალური რეაგირება არ ყოფილა. რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ბავშვებმა დაკარგეს უფასო საკვები, რომელსაც ყოველდღე იღებდნენ სკოლის კაფეტერიებში. ღარიბ ოჯახებს უჭირთ შეუქმნან შესაბამისი პირობები სკოლის ასაკის ბავშვებს. ხანდახან გადაულახავი წინააღმდეგობები ხვდება მათ მცდელობას უზრუნველყონ სათანადო მეთვალყურეობა, სასწავლო მასალები და ზოგიერთ შემთხვევაში, საკვებიც კი. ზოგიერთმა მუნიციპალურმა საბჭომ და სამოქალაქო საზოგადოების ბევრმა ორგანიზაციამ მოახდინა უფასო კვების მომსახურების ორგანიზება იმ ოჯახებისთვის, რომლებისთვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ მათი ბავშვი დღეში ერთ ცხელ სადილს იღებდა სკოლაში, ბევრმა ადამიანმა დაიწყო დახმარების შეგროვება ღარიბი ოჯახებისთვის, რომლებიც ვერ ყიდულობენ ონლაინ სწავლებისთვის საჭირო აღჭურვილობას.

ერთერთ ასეთ ინიციატივას *დაერქვა Ablak a padra(„გზა სკოლის მერხისკენ“).* ის ორგანიზებული იყო სამი უნგრული სამოქალაქო ორგანიზაციის მიერ - Láncreakció, Láthatatlan Tanoda და aHang. ინიციატივის მიზანია, ინტერნეტზე წვდომის უზრუნველყოფა და ციფრული აღჭურვილობის შეგროვება და მიწოდება სულ მცირე

300 ბავშვისთვის უნგრეთის 19 გაჭირვებულ მუნიციპალიტეტში, რათა მათ სასწავლო პროცესში მონაწილეობის საშუალება მიეცეთ და პანდემიის პერიოდში სკოლის მიღმა არ დარჩნენ. იანი კელემენმა, 18 წლის ბიჭმა სოფლიდან სახელწოდებით აგი, რომელიც სამხრეთ უნგრეთის ბარანიას საგრაფოში მდებარე პატარა, 200 მოსახლიანი თემია, გაიგო ამ ინიციატივის შესახებ და გამოთქვა სურვილი მიუტანოს შეგროვებული აღჭურვილობა მისი სოფლის ყველა ბავშვს, რომლებსაც ის სჭირდებოდა. ის ამაზე ხარჯავდა მთელ თავისუფალ დროს - მიჰქონდა ტექნიკა უხსნიდა ბავშვებს გამოყენების წესს, აყენებდა და ამოწმებდა საჭირო პროგრამებს, ასწავლიდა მათ გამოყენებას და უხსნიდა ფეისბუქისა და გუგლის ანგარიშებს ყველას, ვისაც ეს სჭირდებოდა. იანი ახლა საშუალო სკოლის ბოლო კლასშია და ვინაიდან შეკრებები კვლავ აკრძალულია, ის ვერ შეძლებს სკოლის დამთავრების აღნიშვნას კლასელებთან ერთად. თუმცა ამჟამად, მისი ძალისხმევა შესაძლებლობას აძლევს სოფელ აგის ყველაზე დაუცველ ბავშვებს ბოლომდე მიიყვანონ სასწავლო წელი.[31]

6.საზაფხულო ბანაკი პატარძეულში საქართველოს საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის

დემოკრატიული უფლებების განვითარების ფონდმა 2019 წლის ზაფხულში, საქართველოში გამოაგზავნა ორი ტრენერი, მათ ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა საშუალო სკოლებიდან შერჩეულ 14 მონაწილესთან ერთად მოსწავლეების სამოქალაქო ჩართულობისთვის საჭირო კომპეტენციების დახვეწაზე იმუშავეს.

ბანაკის მთავარი მიზანი იყო მოზარდებისთვის აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობის გაცნობა და მათთვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ან მათი საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებაში მონაწილეობის სტიმულის მიცემა. ამისთვის საჭირო იყო მათ შეძლებოდათ შეაფასონ ირგვლივ არსებული პრობლემები ან ის, რაც აკლია მათ გარემოს, ხელი შეუწყონ დიალოგს თავის თემში და განახორციელონ ცვლილებები, რომლებიც მათი აზრით სასარგებლო და საჭიროა.

ბანაკში ხდებოდა მონაწილეების წახალისება, მიაქციონ ყურადღება მიექციათ და დაფიქრებულიყვნენ იმაზე, რაც ესმით, რაზეც ფიქრობენ და ხედავენ და მოეძებნათ დიალოგის შესაძლებლობა. ბანაკის მნიშვნელოვანი მიზანი იყო ისეთი იდეების მოფიქრება და ფორმირება, რომელთა განხორციელებასაც მონაწილეები შეძლებდნენ საკუთარ გარემოში. ეს შეიძლება ყოფილიყო ყველაფერი (მაგალითად, თეატრალური წრე, დებატ-კლუბი, გარემოსდაცვითი ჯგუფი და ა.შ.), რაც მონაწილის აზრით ხელს შეუწყობდა კონკრეტული პრობლემის მოგვარებას.

[31]იანი კელემენის სურათი, წყარო: Ablak a padra Facebook, URL: https://www.facebook.com/104789031196038/photos/a.105592701115671/128153782192896/?type=3&theater (ბოლო ნახვა: 1/06/2020)

თავი III

პავლა ბედნარიკოვა, ორგანიზაცია აგორა ცენტრალური ევროპა
Pavla Bednarikova, Agora CE, pavla.bednarikova@agorace.cz

ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობა ჩეხეთის რესპუბლიკაში

შესავალი

ქუჩები, რომლებშიც მანქანებით გადავაადგილდებით, ტროტუარები რომლითაც ყოველდღე ვსარგებლობთ, პარკები ,სადაც ჩვენს თავისუფალ დროს ვატარებთ, ნარჩენები, რომელსაც ვაგროვებთ ან ფეხბურთის მოედნები, სადაც ვთამაშობთ- ეს ყველაფერი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. იმის მიუხედავად რომ, ზემოთ ჩამოთვლილიდან განსაკუთრებული არაფერია, თითოეულ ქალაქს , ინდივიდს გნებავთ მოქალაქეს, ახალგაზრდას, უფლება და შესაძლებლობა აქვს საკუთარი აზრი გამოხატოს იმის შესახებ თუ როგორ უნდა მუშაობდეს და გამოიყურებოდეს გარემო და თემი, რომელშიც ცხოვრობს. მოქალაქეებმა უნდა გამოიყენონ ზემოქმედების მოხდენის უფლება, საკუთარ თემზე, ქალაქსა თუ სახელმწიფოზე, რომელშიც ცხოვრობენ.

ახალგაზრდა ადამიანებისთვის გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობის ყველაზე მარტივი გზა როგორც წესი მათი თემებისა და ქალაქების დონეზე ჩართულობაა. საზოგადოებრივ პროცესში მონაწილეობის დაწყება ახალგაზრდებს საკუთარი სამეზობლოს, საცხოვრებელი გარემოს საკითხებით დაინტერსებით შეუძლიათ, მაგალითად, მათ თავისუფლად ძალუძთ საკუთარი წვლილი შეიტანონ ადგილობრივი საცურაო აუზის შეკეთებაში, ან უზრუნველყონ უახლოეს პარკში დასასვენებელი სკამებისა თუ ნაგვის ურნების დამონტაჟება. უბრალოდ მიმოიხედეთ ირგვლივ და დაიწყეთ იმით , რაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ.

რატომ უნდა გვადარდებდეს და ვიყოთ აქტიური მოქალაქეები?

შესაძლოა მოტივაციის ნაკლებობას განიცდი, რომ მეტად აქტიური იყო, ან იქნებ მეტი ახალგაზრდა ადამიანის დარწმუნება გსურს იმაში თუ რატომ არის მნიშვნელოვანი გვადარდებდეს რა ხდება საზოგადოებაში და რატომ არის საჭირო აქტიური როლის შესრულება მიმდინარე პროცესებში?

- **შენ შეგიძლია პრობლემის გადაჭრა, რომელიც გაწუხებს.**

შესაძლოა, შენს სამეზობლოში არსებული სათამაშო მოედანი დაზიანებული და დახურულია, ამასთან არავინ ცდილობს სიტუაციის გამოსასწორებლად რაიმე მოიმოქმედოს, შეგიძლიათ ამ საკითხზე ქალაქის მერიის ყურადღება მიიპყროთ, მეზობლების მხარდაჭერა მოიპოვოთ და თქვენი წვლილი შეიტანოთ მოედნის ხელახლა გახსნაში.

- **თქვენ აკეთებთ იმას რისი გჯერათ რომ სწორია.**

ფიქრობთ, რომ ადამიანებმა მეტი ნაბიჯი უნდა გადადგან კლიმატის პრობლემების აღმოსაფხვრელად? შესთავაზეთ ნარჩენების გადამუშავებისთვის განკუთვნილი მეტი ურნა თქვენს ქალაქს.

- **თქვენ გაქვთ უფლება გამოხატოთ თქვენი მოსაზრება** .

ზოგჯერ უფროსი ადამიანები ვერ აცნობირებენ, რომ ახალგაზრდებს აქვთ საკუთარი საჭიროებები და შეხედულებები. ასე რომ იყავით აქტიურები , ხმამაღლა თქვით რასაც ფიქრობთ და გახადეთ ვალდებული უფროსები მოგისმინონ.

- **თქვენ იღებთ ახალ გამოცდილებას .**

იქნებ ახალ ჰობის ეძებთ ან განსხვავებული გამოცდილების შეძენა გსურთ, რეალურად ახალი ველოსიპედის გამოგონება საჭირო არაა, ცადეთ და გახდით აქტიური თქვენივე თემში, ცვლილებებისთვის.

- **თქვენ სწავლობთ რაღაც ახალს და იძენთ ახალ უნარებს, რომელიც გამოგადგებათ სამომავლო საქმიანობაში ან სწავლაში.**

(კომუნიკაცია, ცნობიერების ამაღლება, ინფორმაციის მოძიება, ტოლერანტობა და ა.შ) კონკრეტულ საკითხზე მოქმედების პროცესში, ხშირად ახალ ინფორმაციას იძენთ, გაქვთ კომუნიკაცია ბევრ ადამიანთან და ახდენთ თქვენი მოსაზრების ადვოკატირებას. ამ უნარების გამომუშავება თქვენი მომავლისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. მეტიც, ამგვარი მოხალისეობრივი აქტივობები ღირსეულ ადგილს დაიკავებს თქვენს რეზიუმეში.

- **შეგიძლიათ საინტერესო ადამიანებს შეხვდეთ**.

ხშირ შემთხვევაში თქვენ უნდა ითანამშრომლოთ ხალხთან თუ გსურთ რომ შეცვალოთ რაიმე. შეგიძლიათ ჩამოაყალიბოთ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ერთი პრობლემის გადაჭრით დაინტერესებული მოქალაქეებისგან შედგება. მოქმედეების პროცესში თქვენ ხვდებით პოლიტიკოსებს, საუბრობთ მედიასთან, ან უბრალოდ კომუნიკაცია გაქვთ მეზობლებთან, რათა მათი მხარდაჭერა მოიპოვოთ. ყველა ეს კონტაქტი თუ ახალი ნაცნობობა სამომავლოდ აუცილებლად გამოგადგებათ.

- **ირჩევთ ხალხს, ვინც თქვენს შეხედულებებს წარმოადგენს.**

თუ 18 წლის ხართ , რაც იმას ნიშნავს რომ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება გაქვთ, შეგიძლიათ ხმა მისცეთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენს ინტერესებს და საჭიროებებს ქალაქის საკრებულოში ან ეროვნულ პარლამენტში გაატარებენ.

ამგვარად, თქვენ დარწმუნებული იქნებით, რომ ადამიანები რომელებიც თქვენს ღირებულებებსა და შეხედულებებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებენ.

- **თავად აიღე პასუხისმგებლობა.**

ძალიან ხშირად ხალხი უკმაყოფილოა პოლიტიკოსებითა და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, თუმცა ხშირად მოქალაქეები ამ კუთხით ქმედით ნაბიჯებს არ დგამენ და მხოლოდ ,,წუწუნით'' შემოიფარგლებიან. თუმცა მნიშვნელოვანია, იცოდეთ რომ გაქვთ შესაძლებლობა ეს უკმაყოფილება რეალურ მოქმედებად აქციოთ. რადგან თუ არ იმოქმედებთ და არ ეცდებით არსებული სიტუაციის შეცვლას, რომელიც თქვენში უკმაყოფილებას იწვევს მაშინ ნუღარ დაიჩივლებთ.

როგორ და სად ჩავერთოთ აქტიურად?

შესაძლოა მზად ხართ იყოთ აქტიური და ჩართული თქვენი თემის, საზოგადოების საქმეებში, თუმცა არ იცოდეთ როგორ და სად შეიძლება ქმედებების განხორციელება. ზოგჯერ , ადვილი სულაც არაა იპოვოთ კონკრეტული გზა როგორ და სად გახდეთ სამოქალაქო პროცესების მონაწილე. ქვემოთ, გთავაზობთ აქტივობათა ჯგუფებს , რომელთა განხორციელებაც თავისუფლად შეგიძლიათ თვენი ინიციატივის პირობებში. ღონისძიებები, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკასთან და ჯგუფური აქტივობები.

თქვენი საკუთარი ინიციატივა

- **გაუწიეთ ორგანიზება საჯარო დისკუსიას ან სხვა საჯარო ღონისძიებას.** შეგიძლიათ ადამიანთა ყურადღება კონკრეტული თემისკენ მიმართოთ ან მიაწოდოთ მათ ინფორმაცია ამ საკითხზე.
- **დაწერეთ ღია წერილი ან საგაზეთო სტატია.** ან იპოვეთ სხვა გზა, რათა თქვენს მიერ წამოჭრილი საკითხი საჯარო გახადოთ და რაც შეიძლება მეტი ადამიანის ინფორმირება მოახდინოთ.
- **შექმენი ან ხელი მოაწერე პეტიციას**. როგორც წესი, რაიმეს შეცვლა გაცილებით მარტივია, როცა ბევრი ხალხის მხარდაჭერა გაქვთ. პეტიციაზე ხელმოწერები შესაძლოა იყოს ერთერთი გზა ადამიანთა მხარდაჭერის მოსაპოვებლად.
- **მონაწილეობა მიიღეთ დემონსტრაციაში ან გაფიცვაში** დემონსტრაციების მიზანი სწორედ ადამიანთა ყურადღების მიპყრობაა კონკრეტულ საკითხზე. იპოვეთ თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხი და მიიღეთ მონაწილეობა დემონსტრაციაში.

- **კარგად შეისწავლეთ თემის გარშემო არსებული ინფორმაცია.**
  მანამ სანამ სხვადასხვა ღონისძიებებში ჩაერთვებით, ან თავად მოახდენთ მათ ორგანიზებას, დარწმუნდით, რომ არსებული საკითხის ირგვლივ სწორ ფაქტებს ფლობთ. გაეცანით პრობლემას, თუ საჭიროა გაესაუბრეთ ექსპერტებს, რათა დანამდვილებით იცოდეთ, რომ თქვენი ქმედება არ ემყარება სოციალურ მედიაში გაზიარებულ რომელიმე ყალბ/ფეიქ ინფორმაციას.
- **შეაგროვე თანხა ან ითხოვე დაფინანსება .**
  თუ გსურთ, ორგანიზება გაუწითო ღონისძიებას ან რაიმე ააშენოთ, შეგიძლიათ ეს თქვენს ქალაქს , მუნიციპალიტეტს სთხოვოთ, ან თავად სცადოთ ფინანსების მობილიზება. მაგალითად, მოიძიეთ სხვადასხვა ფონდი, ან გამართეთ საქველმოქმედო აქცია თუნდაც სამეზობლოში.

თქვენ და პოლიტიკა

- **მიწერე შენს წარმომადგენელს.**
  გსურთ თუ არა რომ თქვენი ქალაქის წარმომადგენელმა კონკრეტულ საკითხს ყურადღება დაუთმოს? გაუგზავნეთ მათ ელ.ფოსტით წერილი ან დაურეკეთ. როგორც წესი, მათი უმრავლესობას საკონტაქტო ინფორმაცია ონლაინ სივრცეშია განთავსებული.
- **გაესაუბრეთ თქვენს წარმომადგენელს**
  ქალაქის წარმომადგენლები როგორც წესი ესწრებიან საჯარო ღონისძიებებს, მათთან პირადად გასაუბრება და თქვენი საჭიროებების გაცნობა სწორედ ასეთ დროს შეგიძლიათ. თქვენ იმ ქალაქში ცხოვრობთ , რომლისთვისაც ისინი მუშაობენ, შესაბამისად ისინი თქვენი ინტერსთა წარმომადგენლები არიან და მათ აუცილებლად უნდა მოგისმინონ.
- **მოიძიე ინფორმაცია ადგილობრივ/ცენტრალური ხელისუფლებების ვებ-გვერდებზე.**
  ძალიან ხშირად, ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები უკვე ცდილობენ იმ პრობლემების გადაჭრას , რის წინაშეც შესაძლოა თქვენი ქალაქი ან სოფელი იდგეს. ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა გაკეთდა და რა კეთდება შეგიძლიათ ონლაინ მოიძიოთ. ეცადეთ მრავალმხრივი ინფორმაცია შეკრიბოთ , მანამ სანამ მოქმედებას დაიწყებდეთ.
- **მიეცი ხმა.**
  არის შემთხვევები, როდესაც თქვენს წინაშე არსებული პრობლემის შესახებ თქვენი ქალაქის წარმომადგენელთან საუბარი არ გამოდის, ის უბრალოდ არ გისმენთ. თუ 18 წლის ხართ, ეს ნიშნავს, რომ შეგიძლიათ მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მიღება და უბრალოდ სხვა კანდიდატისთვის ხმის მიცემა.

- **შეუერთდი პოლიტიკურ პარტიას**
  მონაწილეობის კიდევ ერთი საშუალებაა პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერა, როგორც მოხალისეს სტატუსით, ასევე ახალგაზრდული პოლიტიკური ორგანიზაციაში გაწევრიანება, ანდა პოლიტიკური პარტიის ოფიციალური წევრობა თუ თვენ 18 წლის ბრძანდებით. ამ გზით, შეძლებთ პოლიტიკური პარტიის ხმა, რომელსაც იზიარებთ ფართო მასებს მიაწვდინოთ.
- **გახდი საარჩევნო კანდიდატი**
  თუ 18 წლის ხართ, თავად შეგიძლიათ გახდეთ საარჩევნო კანდიდატი და კამპანია აწარმოოთ. ასეთ შემთხვევაში პირდაპირ შეძლებთ იმუშაოთ ისეთ საკითხებზე რაც მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ.

თქვენ გუნდში-გახდი გუნდის წევრი ან თავად შექმენი ის

- **სასკოლო თვითმმართველობა**
  ბევრ სკოლაში არსებობს სასკოლო პარლამენტი, სადაც სტუდენტები სხვადასხვა კლასებს წარმოადგენენ, სწორედ ისინი არიან ჩართულნი სკოლისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებაში . გახდით თქვენი კლასის წარმომადგენელი სკოლის პარლამენტში.
- **ორგანიზაციები და ჯგუფები ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის**- არსებობს ბავშთა და ახალგაზრდლი უამრავი ჯგუფი, რომლის საშუალებითაც ახალგაზრდა ადამიანები თავიანთ თემებში საჭირო სასარგებლო ღონისძიებებს ახორციელებენ. გახდით ასეთი ჯგუფის წევრი, ან თუ უკვე ხართ გამოიჩინეთ ინიციატივა, არსებული პრობლემის , სიტუაციის უკეთესობისკენ შესაცვლელად.
  ასეთი ჯგუფებია:
  - სკაუტური ჯგუფები
  - მოხალისე მეხანძრეები
  - ბუნების დამცველები
  - და სხვა
- **არასამთავრობო ორგანიზაციები** –თუ კონკრეტული საკითხით ხართ დაინტერესებული , შეგიძლიათ ამ თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის მხარდამჭერი გახდეთ, ან სულაც მისი წევრი. გახსოვდეთ, რომ ადამიანთა გაერთიანებას, ჯგუფს უფრო მაღალი ხმა აქვს ვიდრე ერთ ადამიანს, ასე რომ ორგანიზაციასთან ერთად გავლენის მოხდენის მეტი შანსი გექნებათ.
  - გარემოსდაცვითი ორგანიზაცია
  - პოლიტიკური ორგანიზაცია
  - სოციალური და სხვა.

ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობის გზები ჩეხეთის რესპუბლიკაში

არსებობს არაერთი გზა, რომლის საშუალებითაც ახალგაზრდას შეუძლია საზოგადოების აქტიური წევრი იყოს. ზოგჯერ საკმარისია, რომ საკუთარი იდეა უბრალოდ პრაქტიკაში განვახორციელოთ, ზოგჯერ კი ახალგაზრდებს უფროსი ადამიანების დახმარება ესაჭიროებათ. არსებობს სხვადასხვა პროექტი, რომელიც ახალგაზარდებს შესაძლებლობას აძლევს იმოქმედონ-ეს პროექტები მათ პოლიტიკოსებთან აკავშირებთ, ასწავლის მონაწილეობის, ჩართულობის მნიშვნელობას, ასევე უზრუნველყოფს სივრცეს, სადაც ისინი საკუთარ მოსაზრებებს უფროსებს უზიარებენ, ან მოიძიებენ ფინანსურ სახსრებს საკუთარ თემებში სასარგებლო პროექტების განსახორციელებლად.

ქვემოთ, თქვენ გაეცნობით რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციისა და კერძო პირების მიერ განხორციელებულ პროექტებს ჩეხეთის რესპუბლიკაში. რაც ნათლად დაგვანახებს ახალგაზრდა ადამიანების აქტიური სამოქალაქო ცხოვრების სხვადასხვა პერსპექტივებს.

სტუდენტების სიმულაციური ასამბლეა

ეს გახლავთ არასამთავრობო ორგანიზაციის აგორა -ჩეხეთის რესპუბლიკა (Agora CE) საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი და უფროსკლასელი სკოლის მოსწავლეებისთვის. სტუდენტების სიმულაციური ასამბლეის ფარგლებში მოსწავლეები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მმართველ პირთა როლებს ირგებენ, მაგალითად საკრებულოს თავმჯდომარის, ასე, ისინი სწავლობენ თუ როგორ ხორციელდება მუნიციპალური პოლიტიკა, ისინი მუშაობენ საკრებულოს წარმომადგენლებთან და მათ ადგილობრივ თემებში არსებული რეალური პრობლემების გადაჭრის გზებს სთავაზობენ.

ლექტორების მითითებებით მოსწავლეთა ჯგუფი მონაწილეობას იღებს ინტერაქტიულ ვორქშოფსა და სიმულაციურ თამაშში. პროგრამის მანძილზე ახალგზარდები სწავლობენ თუ როგორ უნდა ჩაერთონ საკუთარ თემში არსებული პრობლემების გადაჭრის პროცესში. ისინი თანამშრომლობას იწყებენ ადგილობრივ პოლიტიკოსებთან და საკუთარ თავზე ცდიან, რას ნიშნავს იყო ქალაქის წარმომადგენელი და როგორ მუშაობს მუნიციპალური პოლიტიკა. აღნიშნული პროგრამა სრულიად ეფუძნება სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას, რათა მოისინჯოს

მაქსიმალურად ბევრი გზა, მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა და მათი მხრიდან პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება.

პროგრამაში მონაწილეობა აშკარად ზრდის ახალგაზრდების ინტერესს ადგილობრივი პოლიტიკისადმი და ხელს უწყობს მათი მონდომებას გახდნენ საკუთარი ქალაქის და თემის საკითხებზე გადაწყვტილების მიღების პროცესის მოთამაშეები.

მონაწილეობითი ბიუჯეტირება ახალგაზრდების ჩართულობით

მონაწილეობითი ბიუჯეტირება შედარებით კარგად ნაცნობი ხერხია იმისა, თუ როგორ შეუძლია ქალაქის თვითმმართველობას მოქალაქეების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა. ამ მოდელში , ქალაქის მერია ქალაქის წლიური ბიუჯეტიდან გამოყოფს თანხის ნაწილს, რომლის უტილიზაციაზე თავად მოქალაქეები გამოთქვამენ აზრს და მერიას პრიორეტიტულ მიმართულებებს სთავაზობენ. საბოლოოდ, მოქალაქეები ხმას აძლევენ პროექტებს, რომელიც მუნიციპალიტეტმა უნდა განახორციელოს.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების შემდგომი საფეხურია პრიორეტიტული პროექტების ინიცირებაში ახალგაზრდების ჩართვა, როგორც წესი, ბავშვებს და ახალგაზრდებს უფროსებისგან განსხვავებული საჭიროებები და მოსაზრებები აქვთ, მათი ხმა ისევე მნიშვნელოვანია როგორც უფროსების. ამგვარად ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ მოიძიონ და გააჟღერონ სხვადასხვა პრობლემა და მათი გადაწყვეტის გზები შეიმუშაონ.

ჩეხეთში, მონაწილეობითი ბიუჯეტირება ახალგაზრდების ჩართულობით პრაქტიკაში პროექტის ,, იყავი ჩართული'' ფარგლებში განხორციელდა, პროექტი არასამთავრობო ორგანიზაცია აგორამ განახორციელა. პროექტის მიხედვით, ჩეხეთის რამდენიმე ქალაქში სკოლის მოსწავლეებს ადგილობრივი თვითმმართველობებისგან გადაეცათ გარკვეული რაოდენობის თანხები, რათა საპასუხოდ საკუთარი ქალაქებისთვის საჭირო და პრიორეტიტული პროექტების ინიცირება მოეხდინათ, რომელსაც შემდგომ ეტაპზე ადგილობრივი თვითმმართველობა რეალურად განახორციელებდა. ამ გზით, მოსწავლეებმა ისწავლეს პროექტის შექმნა, რის შემდგომაც საუკეთესო პროექტს კენჭი უყარეს, პროექტი რეალურად განხორციელდა.



სტუდენტური არჩევნები

ჩეხეთში, სკოლებსა და მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ,,სტუდენტურ არჩევნებში '' მიიღონ მოანწილეობა. აღნიშნული არჩევნები არაკომერციული ორგანიზაცია ,,ადამიანი გასაჭირში'' მიერ ხორციელდება, სტუდენტების არჩევნები დაკავშირებულია ჩეხეთის საპარლამენტო და სხვა ინსტიტუციურ არჩევნებთან და მისი მიზანი სტუდენტებისთვის ხმის მიცემის პრაქტიკაში გამოცდას გულისხმობს, მანამ სანამ მათ 18 წელი შეუსრულდებათ და არჩევნებში მონაწილეობის კანონიერ უფლებას მიიღებენ. ამ გზით ახალგაზრდები წარმომადგენლობითი დემოკრატიის და ჩეხეთის რესპუბლიკის საარჩვნო სისტემის პრინციპებს ეცნობიან .

როგორ მუშაობს სტუდენტური არჩევნები? სკოლები ინდივიდუალურად რეგისტრიდებიან პროექტში მონაწილეობის მისაღებად. პროცედურის გავლის შემდეგ, პროექტის ორგანიზატორები მონაწილე სკოლებს საარჩვნო ატრიბუტიკით, ყუთებით, პოსტერებისთა და სასწავლო მასალით ამარაგებენ. უშუალოდ სტუდენტური არჩევნების დროს მოსწავლეები პოლიტიკურ პარტიებს რეალური საარჩევნო სიიდან ირჩევენ, ამ გზით, ისინი ეცნობიან ქვეყანაში მოღვაწე პოლიტიკურ პარტიებს, რომელთათვის ხმის მიცემაც ნამდვილ არჩევნებში უკვე სამომავლოდ შეეძლებათ. სტუდენტური არჩევნები ორგანიზატორების მიერ მონაწილე სკოლების მიერ მიღებული შედეგების გაცნობით სრულდება.

საბოლოოდ, პროექტი ხელს უწყობს, ახალგაზრდების გააქტიურებას და მათი პასუხისმგებლიან, თავდაჯერებულ ამომრჩევლად ჩამოყალიბებას.

პრაღის სტუდენტური სამიტი

პრაღის სტუდენტური სამიტი უფროსკლასელთა და უნივერსიტეტის სტუდენტთა საგანმანათლებლო პროექტია, რომელიც ჩეხეთის რესპუბლიკის მასშტაბით არასამთავრობო ორგანიზაცია საერთაშორისო ურთიერთობათა ასოციაციის მიერ

ხორციელდება. პროექტი ახალგაზრდა ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს თვალსაწიერი გაიფართოონ ისეთ მიმართულებებზე როგორიცაა: საერთაშორისო ურთიერთობები, ადამიანის უფლებები, ეკონომიკა, საერთაშორისო საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული თანამშრომლობა, მსოფლიო უსაფრთოება და გარემოსდაცვა. ამ გზით ახალგაზრდებს შეუძლიათ გაიუმჯობესონ კრიტიკული აზროვნების და ამასთან აიმაღლონ საჯარო გამოსვლისა და არგუმენტაცირების უნარები.

პროექტის ფარგლებში, სტუდენტები მონაწილეობენ გაეროს, ნატოს და ევროკავშირის მოდელირებებში. ჯგუფებში მუშობის პროცეში ისინი ახდენენ საერთაშორისო ორგანიზაციების ინსტიტუციების დიპლომატიური შეხვედრების სიმულაციას, მართავენ დებატებს და წარმოდეგენილ პრობლემებზე გადაწყვეტილებებს იღებენ. პროექტი პირდაპირ უწყობს ხელს ახალგაზრდების დემოკრატიის შესახებ ცნობიერების გაზრდას და მათი პოლიტიკისადმი ინტერესის გაღვივებას.

სასკოლო პარლამენტები

სკოლის პარლამენტი კარგი საშუალებაა მოსწავლეების ჩართულობისთვის სკოლის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საპარლამენტო არჩევნები სასწავლო წლის დასაწყისში ტარდება. თითოეულ კლასში მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ წარმომადგენელს, რომელსაც სკოლის პარლამენტში ხმის უფლება ენიჭება, ამგვარად სასკოლო პარლამენტი შედგება სწორედ თითოეული კლასის წარმომადგენელისგან. პარლამენტი აყალიბებს ე.წ ,,ლიდერშიფს'' და რეგულარულად იკრიბება არსებული პრობლემების გადასაჭრელად. როგორც წესი, სკოლის პარლამენტი ძირითადად დაკავებული სკოლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვით, როგორიცაა მაგალითად აღჭურვილობის გაუმჯობესება, სწავლება, თუმცა ის ასევე ჩართულია კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების ორგანიზებაშიც. პარლამენტს ყოველთვის ჰყავს ზრდასრული კოორდინატორი, რომელიც მას ფუნქცია-მოვალეობების შესრულებაში დახმარებას უწევს. სასკოლო პარლამენტი სკოლის ადმინისტრაციასთან მუდმივ კოორდინაციაშია, ჩეხეთის რესპუბლიკაში სკოლის დირექტორი კანონით ვალდებულია სასკოლო პარლამენტის მოსაზრებებს ანგარიში გაუწიოს.

მუნიციპალური ახალგაზრდული პარლამენტები ასევე ფუნქციონირებენ იმ ქალაქებში, რომლებიც გამოირჩევიან ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობით ქალაქის ფუნქციონირებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ჩეხეთის რესპუბლიკაში ასეთი 12 ახალგაზრდული პარლამენტია, ისინი როგორც წესი, ინდივიდუალური სასკოლო

პარლამენტების წარმომადგენლებისგან შედგება. მუნიციპალური პარლამენტები ადგილობრივი ბავშვებისა და ახალგაზრდების პრობლემების გადაჭრით არიან დაკავებულნი და ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებს ერთგვარ სტიმულს აძლევენ მოაგვარონ ისეთი საკითხები როგორიცაა მაგალითად სკოლასთან არსებული გადასასვლელების მდებარეობა, ახალი სათამაშო მოედნების მოწყობა და ა.შ. მუნიციპალური ახალგაზრდული პარლამენტის წევრები ხშირად მონაწილეობენ მოხალისეობრივ აქტივობებში, ასევე ორგანიზებას უწევენ სხვადასხვა ჰუმანიტარულ აქციებს, საგანმანათლებლო სემინარებს, კულტურულ თუ სპორტულ ღონისძიებებს.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდული პარლამენტები ასევე ფუნქციონირებენ რეგიონალურ დონეზე, ასეთ შემთხვევაში ეს პარლამენტები მუნიციპალური ახალგაზრდული პარლამენტების წევრებისგან შედგება. ჩეხეთის რესპუბლიკაში ასევე არსებობს ახალგაზრდების ეროვნული პარლამენტი, რომელიც დაწყებითი და მაღალი კლასისი სკოლების ახალგაზრდული თვითმმართველობების ხელმძღვანელად გვევლინება.

ახალგაზრდული თვითმმართველობების მიზანი ბავშვებისა და ახალგაზრდა ადამიანების წახალისება საზოგადოებრივ საკითხებში ჩართვისთვის წახალისება, მათთვის საკუთარი მოსაზრების ღიად გამოხატვისა და კონკრეტული პრობლემების მოგვარებისკენ ბიძგის მიცემა, შესაბამისად მათი დემოკრატიის მუშაობის პრინციპებში გარკვევაა.

ახალგაზრდული პოლიტიკური ორგანიზაციები

ახალგაზრდებს რა თქმა უნდა, ასევე შეუძლიათ სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციის ფარგლებში აქტიურობა. ასეთი ორგანიზაციები, როგორც წესი მოქალაქეთა ასოციაციებია, რომლის პოლიტიკური შეხედულებები კონკრეტული პოლიტიკური პარტიების მსოფლმხედველობას ემთხვევა. ასეთ ასოციაციებში გაწევრიანება ხშირად ეხმარება ახალგაზრდებს პოლიტიკური კარიერის შექმნაში. ჩეხეთის რესპუბლიკაში ფუნქციონირებს შემდეგი ახალგაზრდული პოლიტიკური ასოციაციები: ახალგაზრდა კონსერვატორები, ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატები, ახალგაზრდა ქრისტიან-დემოკრატები, ახალგაზრდა მწვანეთა პარტია და კომუნისტ ახალგაზრდების კავშირი. გამოცდილება აჩვენებს რომ, მას მერე რაც 18 წელი შეუსრულდებათ, ასეთი ახალგაზრდული ორგანიზაციების წევრები, ხშირად ხდებიან რეალური პოლიტიკური პარტიების წევრები და სულ მცირე მუნიციპალური პოლიტიკის წარმოებაში ერთვებიან,

სასკოლო გაფიცევები კლიმატისთვის - „ პარასკევი მომავლისთვის''

ჩეხეთის რესპუბლიკაში არსებობს სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეების მიერ დაფუძნებული ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს ახალგაზრდულ საერთაშორისო მოძრაობას ,,პარასკევები მომავლისათვის'', რომელის ფარგლებშიც ახალგაზრდა ადამიანები მსოფლიო მასშტაბით ეკოლოგიის კონტექსტში მომავლისთვის იბრძვიან. ყოველ პარასკევს სკოლაში წასვლის ნაცვლად ისინი ქუჩაში აქციებს აწყობენ, მათი პროტესტი პოლიტიკოსებისა და უფროსებისკენ არის მიმართული ხოლო მოთხოვნა კილიმატის კრიზისთან გამკლავების გზების მოძიების დაჩქარებაა. ამ ახალგაზრდების აზრით, მათი მომავალი განათლებაზე მეტად მნიშვნელოვანია. ისინი შეშფოთებულნი არიან საზოგადოებისა და პოლიტიკოსების დამოკიდებულებით კლიმატის ცვლილებებისადმი. ისინი მოითხოვენ რომ კლიმატის კრიზისი მსოფლიოს მიერ აღქმული იყოს როგორც რეალური და ძალიან სერიოზული მოვლენა.

სოლიდარობის პროექტები

ეგრეთ წოდებული ,,სოლიდარობის პროექტების'' საშუალებით ახალგაზრდები ევროკავშირისგან დაფინანსებას იღბენ, რათა განახორციელონ ღონისძიებები , რომელიც მათ ადგილობრივ თემებში პოზიტიურ ცვლილებებს გამოიწვევს. სქემა მარტივია, ხუთი ან მეტი ახალგაზრდა ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი ირჩევს პრობლემატურ საკითხს, რომლის გარშემოც პროექტის განაცხადს ამზადებს, იღებს დაფინანსებას ევროკავშირისგან და პროექტს ახორციელებს. ამ შესაძლებლობის დამსახურებით ახალგაზრდები საკუთარი ქალაქების რეალურ პრობლემებს აგვარებენ. პარალელურად კი პროექტების შექმნის და განხორციელებისთვის საჭირო უამრავ უნარს იძენენ. მაგალითისთვის, ასეთი ახალგაზრდული პროექტების დამსახურებით მოხდა ასაკოვანი ადამიანების ჩეხეთის ერთერტი ქალაქის აქტიურ ცხოვრებაში ჩართვა, აუტიზმის სპექტრის მქონე ადამიანების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების გაზრდა, საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციისთვის საჯარო ღონისძიებების მოწყობა.

ახალგაზრდების იდეები ჩეხეთიდან

ამ თავის დასასრულს გაგაცნობთ რამდენიმე კონკრეტულ იდეას, რომელთა ინიცირება და განხორციელება მოხდა ჩეხი ახალგაზრდების მიერ თავიანთ ადგილობრივ თემებში:

- *გზებისა და ტროტუარების რეკონსტრუქცია*
- *ნარჩენების მიწისქვეშა კონტეინერები ნარჩენის სეპრაციისთვის*
- *თინეიჯერებისთვის სათამაშო მოედნის მოწყობა*
- *პარკის შშმ პირების საჭიროებებისთვის ადაპტაცია*
- *ნაგვის ურნებისა და სკამების დამონტაჟება ქალაქში*
- *წრიული სამოძრაო გზების ყვავილებით გაფორმება*
- *ტრადიციული კულტურული ღონისძიების ინოვაცია*
- *საციგურაო პარკის აშენება*
- *გზის გასწვრივ ხეებისა და ბუჩქების გაკრეჭვა*
- *საავტომობილო მოძრაობისგან უსაფრთხო ზონების შექმნა სკოლების გარშემო*
- *ქალაქის ადაპტირება მცირეწლოვანი ბავშვების მშობლებისთვის ეტლით ადვილად გადასაადგილებლად*
- *სკოლის მოსწავლეების ვიზიტები მოხუცთა თავშესაფრებში*
- *კლიმატის საპროტესტო აქციები*
- *ქალაქის ხანდაზმული მოქალაქეების ინტეგრაცია ქალაქის აქტიურ ცხოვრებაში*
- *აუტიზმის სპექტრის მქონე ადამიანების შესახებ საინფორმაციო კამპანია*
- *საზოგადოებრივი ღონისძიება ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ.*

თავი IV

ქეთი აბაზაშვილი, საერთაშორისო ასოციაცია ,,კივიტას გეორგიკა''
Keti.abazashvili@gmail.com

პროექტის ფარგლებში განხორციელებული სასკოლო და სათემო პროექტები

იდეიდან -ცვლილებამდე

2019-2020 წელს, ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის მხარდაჭერით, საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკამ განახორციელა პროექტი ***,,ისწავლე და გამოცადე აქტიური მოქალაქეობა -სკოლებისა და თემის დაკავშირება'',*** რომელიც ერთგვარი გამოძახილი გახლავთ წინამორბედი პროექტისა ,,ისწავლე და გამოცადე დემოკრატია'', ის 2018 წელს წარმატებით განხორციელდა საქართველოს თორმეტ საჯარო სკოლაში. ნაყოფიერი შედეგების მიუხედავად, აღნიშნულმა პროექტმა, ზოგადი განათლების სფეროში, კერძოდ კი საჯარო სკოლების მიდგომებსა და კომპეტენციებში არსებული ხარვეზების დემონსტრირებაც მოახდინა. მაგალითად, ხაზი გაუსვა სკოლის ფარგლებსა თუ მის გარეთ მოსწავლეების დემოკრატიული მონაწილეობის ხელშეწყობის სიმწირეს. ცალსახა იყო მორიგი, ლოგიკური ქმედების საჭიროება, სწორედ ამიტომ შეიქმნა ,,ისწავლე და გამოცადე აქტიური მოქალაქეობა'' , რომლის სახელწოდებაც პროექტის მთავარ მიზანს ახმოვანებს. დიახ, პროექტმა სიტმული მისცა საჯარო სკოლების დირექტორებს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს უფრო ნათლად დაენახათ სკოლის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის როლი საკუთარ საზოგადოებაში, თემში და ამ მხრივ, საჭირო თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნა/უნარები შეეძინათ აწმყოსა თუ მომავალში აქტიური ჩართულობის კუთხით.

ევროპელი კოლეგების დახმარებით, ვიშეგრადის ოთხეულის ქვეყნებიდან, პროექტმა სკოლების დირექტორებისა და მასწავლებლების მხრიდან მოსწავლეთა დემოკრატიული, თანაბარი და პასუხისმგებლიანი ჩართულობისთვის საჭირო კომპეტენციების ამაღლება უზრუნველყო, ასევე სკოლის მოსწავლეებსა და მათ მასწავლებლებს ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილოების ინოვაციური ფორმები გააცნო და მათი მოტივაცია, ყოფილიყვნენ

აქტიური მოთამაშეები საკუთარ საზოგადოებაში ერთიორად გაზარდა. შედეგად, მონაწილე სკოლების მიერ განხორციელდა მცირე-სათემო -სასკოლო პროექტები, რომლის მართვის სადავეებიც პედაგოგების ხელშეწყობით, მოსწავლებმა თავიანთ ხელში აიღეს და პირადად გამოსცადეს აქტიური მონაწილოების სრული ციკლი, რაც ამ შემთხვევაში, პროექტის განაცხადის შექმნით დაწყებული მის სრულ განხორციელებას გულისხმობდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის ერთერთი მთავარი მოვლენის-მსოფლიო პანდემიის გამო, სამწუხაროდ, ზოგიერთი პროექტის გეგმის მიხედვით შესრულება ვერ მოხერხდა, თუმცა ახალგაზრდებისა და მათი

მასწავლებელ/დირექტორების მხრიდან გამოჩენილი ენთუზიაზმის დამსახურებით, ეს პროექტების საბოლოო შედეგებზე ნაკლებად აისახა. გთავაზობთ 8 მცირე სასკოლო-სათემო პროექტის მოკლე აღწერას, რომელიც ჩვენი პროექტის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა წარმატებით განახორციელეს, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდით.

1.,,გაცოცხლებული ბიბლიოთეკა"

ქ. რუსთავის სსიპ N21 საჯარო სკოლა

ამ პროექტის დახმარებით მოსწავლეებმა აიმაღლეს კითხვის კულტურა და თავად აქტიური მონაწილეობა მიიღეს სკოლაში წიგნიერი გარემოს შექმნაში. შედეგად სკოლის ბიბლიოთეკა 100 მეტი თანამედროვე წიგნით განახლდა. ამ პროცესს წინ უძღოდა სკოლის მასშტაბით მოსწავლეების მიერ ჩატარებული კვლევა მათთვის სასურველი წიგნების გამოვლენის მიზნით. სკოლაში ჩატარდა ვიქტორინა, რომელშიც მშობლებიც იღებდნენ მონაწილეობას. საინტერესო აქტივობა იყო ,,აჩუქე ერთი წიგნი სკოლას'' სხვადასხვა კლასის მოსწავლეები ხალისით ჩაერთვნენ სკოლის წიგნებით გამდიდრების აქციაში. პროექტის ფარგლებში შემუშავებული ზოგიერთი აქტივობა, მაგალითად ,,დაანონსებული წიგნები" სკოლის ტრადიცია გახდება.

2. ,,ისწავლე და გამოცადე აქტიური მრავალეთნიკური მოქალაქეობა ''

ქ.ბოლნისის კერძო საშუალო სკოლა ''დავითიანი''

პროექტის მიზანი იყო ბოლნისის რეგიონში ეთნიკური უმცირესობების, მეტად კი ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა , ასევე ახალგაზრდებსა და მათ მშობლებს შორის არსებული ბარიერების მოშლა. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ პროექტის გუნდმა ამ მიზნის მიღწევა შეძლო, ისეთი ღონისძიებების საშუალებით,როგორიცაა მასტერკლასები მშობლებისა და ბავშვებისთვის მრავალფეროვნებაზე, ონლაინ საუბრები ახალგაზრდების როლზე თემში. ვიდეორგოლების მომზადება აზერბაიჯანულ, სომხურ და ქართულ ტრადიციებზე, სახალისო და საინფორმაციო ვიქტორინები და ა.შ. აქტივობების დაგეგმვისას და განხორციელებისას მოსწავლეებთან ერთად ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი მშობლები,რომელთაც სურვილი გამოთქვეს მომავალშიც მიიღონ აქტიური მონაწილეობა მსგავსს აქტივობებში.

3. „ სურამის გზამკვლევი”

სსიპ, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის დაბა სურამის #2 საჯარო სკოლა



პროექტის შედეგად, მოსწავლეებმა აიმაღლეს ცოდნა, თუ რა მნიშვნელოვანია გარემოს დაცვა და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის გაზრდა ტურიზმის ხელშეწყობისათვის. განივითარეს თანამშრომლობითი უნარები, გაიზიარეს ტურიზმის სფეროში მომსახურე საინტერესო ადამიანების გამოცდილება; ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და რაიონულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით შექმნეს ძალიან მნიშვნელოვანი პროდუქტი - ბროშურა სურამზე, „სურამის გზამკვლევი“, რომელიც როგორც ონლაინ ისე ბეჭდური სახით გავრცელდება ადგილობრივ თემსა და ვიზიტორებში. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ტურისტული კომპანია, რომელიც პროექტის დასრულების შემდეგაც გააგრძელებს სიცოცხლეს და რეალურ ასპარეზზე გადაინაცვლებს,

4.„ ღია სკოლა”

ქ.გორის სსიპ # 12 საჯარო სკოლა

პროექტის მთავარი მიზანი იყო სასკოლო ცხოვრებაში თემის ჩართულობის გაძლიერება. პროექტის მოსწავლეთა გუნდს სურდა სასკოლო ცხოვრებაში მშობლების აქტიური ჩართვა, რაც მათ ნამდვილად გამოუვიდათ ისეთი აქტივობების საშუალებით როგორიცაა, კინო კლუბის ჩამოყალიბება და საგანმანათლებლო ფილმების ჩვენება, რომელზე დასწრების შესაძლებლობა ნებისმიერ მსურველს ქონდა, ჩატარდა ერთობლივი ტრენინგები ბავშვებისა და მშობლებისთვის თემებზე, ბულინგი, ასაკობრივი ურთიერთობების თავისებურებები, ბაშვთა შრომა, ნაადრევი ქორწინება, მონაწილეობა და ა.შ) ონლაინ ფორმით ჩატარდა ე.წ მშობელთა თვითმმართველობის დღე. უნდა ითქვას, რომ ამ პროექტის შედეგად, სკოლა გახდა მშობლებისთვის მნიშვნელოვანი მნიშვნელოვანი სოციალური ინფორმაციის მიღების წყარო, პროექტმა არაფორმალურ გარემოში მშობლებისა და შვილების კომუნიკაციასა და თანამშრომლობას შეუწყო ხელი.

5.„ პროფესიული განათლება - განათლებაა”

სსიპ ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლა

ამ პროექტით ხაშურის #1 საჯარო სკოლის მოსწავლეებს სურდათ თემის ცნობიერების ამაღლება პროფესიული განათლების შესახებ, არსებული სტერეოტიპების გაქარწყლება და არაპოპულარული პროფესიების პოპულარიზაცია. ახალგაზრდებმა ჩაატარეს კვლევა მოსწავლეებში პროფ.განათლების და სასწავლებლების მიმართ მათი დამოკიდებულებებისა და ინფორმირებულობის შესახებ, რის შედეგადაც განსაზღვრეს საჭირო სემინარების თემატიკა, რომელსაც როგორც მათი თანატოლები, ასევე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და მშობლები ესწრებოდნენ. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ერთერთი პროფ.სასწავლებლის „იკაროსის” შესახებ ონლაინ პრეზენტაცია, სკოლაში შეიქმნა „კუთხე“, სადაც მსურველს შეუძლია მაქსიმალური ინფორმაცია მოიძიოს საქართველოში პროფესიული განათლების შესაძლებლობების შესახებ.

6. *„უკეთესი მომავლისთვის”*

სსიპ ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევერის საჯარო სკოლა

მოსწავლეების ძალისხმევითა და სკოლის ხელშეწყობით სოფ. ძევერას სკოლას უკვე აქვს თანამედროვე ლიტერატურით და ტექნიკით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი, რომელიც გარდა ბიბლიოგრაფიული ფუნქციისაა სკოლის თემის აქტიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, ეს პროცესი პროექტის ფარგლებშივე დაიწყო, მოეწყო საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა საკითხზე, ასევე სკოლის მოსწავლეებმა დისტანციურად თუმცა მაინც უმასპინძლეს მათთვის საინტერესო პიროვნებებს, ახალგაზრდა მწერლებს, რომლებთანაც მათთვის საინტერესო თემებზე ისაუბრეს. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა სკოლის სამკითხველო წრე, რომელიც მომავალში არაერთ ღონისძიებას განახორციელებს.

7. „ბოლნისის ლიტერატურული ჰაბი”

ქ.ბოლნისის სსიპ #5 საჯარო სკოლა

ამ პროექტის შედეგად ქ.ბოლნისში გაჩნდა სივრცე, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ ერთმანეთს საკუთარი ინიციატივები და გამოცდილება გაუზიარონ სხვადასხვა საკითხზე, არაფორმალურ სივრცეში მათთის საინტერესო თემებზე ინფორმაცია მიიღონ. ლიტერატურული ჰაბის გაზაზე სკოლის მოსწავლეებმა უკვე განახორციელეს რამოდენიმე აქტივობა, მათ შორის დისტანციურად. პირველი სემინარი და ჰაბის პრეზენტაცია ბოლნისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურულ დაბრაზ „საბაში” მოეწყო, რომელსაც მოწვეული 7 სკოლის მოსწავლებსა და სასკოლო პერსონალთან ერთად მშობლები და ადგილობრივი თემის წევრები ესწრებოდნენ. პროექტის ფარგლებსი მოეწყო რამდენიმე შემეცნებითი სემინარი, სადაც მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ საკუთარი ინტერესები და მოსაზრებები ერთმანეთისთვის და უფროსებისთვის გაეზიარებინათ.

8. " კინოკლუბი რუსთაველი"

ქ. რუსთავის სსიპ ექვთიმეთაყაიშვილისსახელობის N16 საჯაროსკოლა

ამ სკოლის მოსწავლეებს სურდათ, საკუთარ თემში შექმნილიყო სივრცე, სადაც მათ

თანატოლებს, და ზოგადად, ნებისმიერ ადამიანს ფილმის ნახვა და მასზე მსჯელობის შესაძლებლობა ექნებოდათ. პროექტის გუნდმა ეს მისია წარმატებით შეასრულა. სკოლის გაზაზე გამოინახა აუთვისებელი სივრცე, რომელიც შესაბამისად მოეწყო და შედეგად მე-16-ე სკოლის მოსწავლეებს და მთლიანად თემს უკვე შეუძლია კინოჩვენებებზე დასწრება და დაგეგმილ დისკუსიებში მონაწილეობა, რომლის ფასლიტაციას თავად მოსწავლეები გასწევენ. პროექტის მოსწავლეთა გუნდს არაერთ პარტნიორი ყავს : კინოსკოლა, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაცია „იმპულსი”, რუსთავის თვითმმართველობათა გაერთიანება და რუსთავის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი პროექტის გუნდის წევრებთან გრძელვადიანად ითანამშრომლებენ და მათ მიერ დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებაშიც ჩაერთვებიან.